

585 / 2  
1993

ქართული  
ბიბლიოთეკა



1993

№ 9

საქართველოს პარლამენტის

ბ ე მ ბ მ ბ მ

---

თ ბ ი ლ ი ს ი



# საქართველოს პარლამენტის

# უწყებები

№ 9 (626)

ივლისი

1993 წ.


## ზ ი | ნ ა ა რ ს ი

### ბანუოფილება პირველი

153. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.
154. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის დროებით ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
155. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ.
156. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ.
157. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გენერალ-მაიორ თამაზ ნაღარეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.



158. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.
159. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითა შეტანის შესახებ.
160. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ.
161. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრთა ნაცვლად არჩეულ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
162. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
163. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.
164. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
165. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე.
166. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
167. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლებზე შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
168. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებითა შეტანის შესახებ.
169. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების უფლების შესახებ.
170. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
171. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქ. ფოთის № 70 საარჩევნო ოლქში გამოკლებულის ნაცვლად არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.





20314

- 172. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგაზაფხულო სესიის მუშაობის გავრცელების შესახებ.
- 173. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საერთაშორისო აქტებთან შეერთების შესახებ.
- 174. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონის პროექტისათვის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე.
- 175. საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონი.
- 176. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონის თაობაზე.
- 177. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გირაუნობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
- 178. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
- 179. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესახებ.
- 180. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.
- 181. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბანეტის ორგანიზაციული და ფუნქციური სრულყოფის შესახებ.
- 182. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- 183. საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი.
- 184. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე.
- 185. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ.
- 186. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ კანონის თაობაზე.

საქართველოს  
პარლამენტი  
გეგმვა და მართვა



- 187. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ.
- 188. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
- 189. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ.
- 190. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

**ბანკოფილება მძორე**

შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის თაობაზე.  
 საქართველოს მარლამენტის წევრის უფლებამოსილების განსახორციელებელი და ბინის დაქირაების ხარჯების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**153** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის უმაღლესობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს გერმანე ფაცაცია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომაუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**154** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის დროებით ზოგირითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან და რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად საჭირო ღონისძიებების ოპერატიულობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შემდეგი უფლებამოსილებანი:

როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის მეთაურმა, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს და გაუძღვეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებს;

საგანგებო შემთხვევებში გამოსცეს ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტები, რომლებიც იმოქმედებენ ამ საკითხებზე პარლამენტის მიერ შეაბამისი აქტების მიღებამდე;

თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის ნებისმიერი თანამდებობის პირი, თუ იგი არ ასრულებს მოქმედ კანონმდებლობას, პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის ან სხვა ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირების კანონიერ გადაწყვეტილებებს. ასეთ შემთხვევაში გამოთავისუფლებულ თანამდებობაზე პირს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. თუ საქმე ეხება თანამდებობის იმ პირთ, რომლებსაც ნიშნავს ან ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, მაშინ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება დანიშნვის შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანოვ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**155** კვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და კოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ

მძიმე ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის, უმაღლესი სახელმწიფო აღმასრულებელი

ბელი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს საქმიანობა, მისი, როგორც საკონსულტაციო ორგანოს, შემადგენლობა და დებულება დაამტკიცოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა.

2. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ათი დღის ვადაში წარმოადგინოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის პროექტი

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 ივლისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 156 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროე- ბისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო არის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

საბჭოს ამოცანები, ფუნქციები, მისი ფორმირებისა და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

#### მუხლი 2. საბჭოს ამოცანები

საბჭოს ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას, საქართველოს სა-



ხელმწიფო სუვერენიტეტისა და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვას, სასელძწიფოში პარტლწესრიგის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის დამყარებასა და განმტკიცებას, ქვეყნის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებასა და განხორციელებას.

### მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები

საბჭო მის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად:

— განიხილავს და წყვეტს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას;

განიხილავს შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და განმტკიცების პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას; აკონტროლებს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას;

უსახავს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს სამხედრო ამოცანებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

კოორდინაციას უწევს სამხედრო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;

განიხილავს სამხედრო კადრების მომზადების, მათი გადანიწილების, სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის საკითხებს;

ხელმძღვანელობს, აკონტროლებს და კოორდინაციას უწევს თავდაცვის, უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობას, ზრუნავს მათი სტრუქტურების სრულყოფისა და ამ ორგანოებში მიზნობრივი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის;

ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში;

იღებს ზომებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და უშიშროებისათვის საშინაო და საგარეო საფრთხის გამოვლენასა და მის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისათვის;

საგანგებო სიტუაციების დროს ახორციელებს ოპერატიულ ღონისძიებებს მძიმე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ეკოლოგიური და სხვაგვარი შედეგების თავიდან ასაცილებლად, იღებს ზომებს მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად;

ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს ღონისძიებათა შემუშავებას და მათ განხორციელებას საქართველოს რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების საიმედო დაცვისა და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის;

საგანგებო სიტუაციების რეგიონებში ნიშნავს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს საგანგებო უფლებებით აღჭურვილ წარმომადგენლებს;

განიხილავს მასალებს უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნი პირებისა და მათთვის უმაღლესი სამხედრო წოდებების მინიჭების თაობაზე და წარუდგენს წინადადებებს საქართველოს სახელმწიფოს შეფაურს;

ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცვუნქციებს.

**მუხლი 4.** საბჭოს უფლებამოსილება სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის დროს

სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის დროს საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი. სამხედრო მდგომარეობის დროს საბჭო ასევე უფლებამოსილია:

შემოიღოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მოქალაქეთა გავლისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

გააუქმოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ იგი ხელს უშლის სამხედრო მდგომარეობის განხორციელებას ან საბჭოს წინაშე მდგომი სხვა ამოცანების გადაწყვეტას.

**მუხლი 5.** საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური — საბჭოს თავმჯდომარე;



საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მრეწველობის დარგში;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი;

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე;

ქალაქ თბილისის მერი;

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით შეიყვანოს სხვა თანამდებობის პირები.

**მუხლი 6.** საბჭოს კომისიები

საბჭო თავისი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად ცალკეულ საკითხებზე ფართომასშტაბიანი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში ქმნის სათანადო კომისიებს.

კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც საბჭოს წევრები, ისე სხვა პირნი.

**მუხლი 7.** საბჭოს მუშაობის წესი

საბჭოს სხდომა იმართება თვეში ორჯერ; აუცილებლობის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით ან საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, იმართება საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.



საბჭოს სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე იგივე საზღვრავს საბჭოს მუშაობის დღის წესრიგს და საკითხთა ხილვის წესს.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

განსახილველი საკითხების თავისებურების გათვალისწინებით საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ ავტონომიური რესპუბლიკების, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, ქალაქების, რაიონების სელმსღვანელები სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტებიც.

საბჭოს მუშაობას ორგანიზაციულად და ტექნიკურად უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი.

**მუხლი 8. საბჭოს დადგენილება**

საბჭო იღებს დადგენილებებს.

დადგენილება ძალაში შედის საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შივარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**157** გენერალ-მაიორ თამაზ ნადარეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-მაიორი თამაზ ნადარეიშვილი შეყვანილ



იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების ანგარიშის  
თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიზაძე.

თბილისი, 1993 წლის 2 ივლისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## **158** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 1993 წლის 6 ივლისის ბრძანებულება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიზაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივლისი.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## **159** საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითა შეთანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის

კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 65<sup>1</sup> და 81<sup>1</sup> მუხლები.

„მუხლი 65<sup>1</sup>. გენოციდი

გენოციდი, ე. ი. მოქმედება რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფების წევრთა მკვლელობით, მათი მძიმე დაშავებით, ან განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამოიწვლია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად, ბავშვთა შობადობის ძალადობით შესამცირებლად ან ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემა.

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

„მუხლი 81<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის არიდება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის არიდება, ჩადენილი ამგვარი ქმედობისათვის ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ელშარდ შვიპარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანაზ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივლისი.

# 160 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სა- მართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტა- ნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 197<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 197<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის სარიდება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის არიდება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის მინიმალური ანაზღაურების ზედიზედ ათჯერ ოდენობამდე, ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების მიღება საქმარისად არ ჩაითვლება, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ოცდაათ დღემდე“.

2. 208-ე მუხლს ციფრების „1962-1966“-ის შემდეგ დაემატოს ციფრი „1971“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ამ კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს რაიონის (ქალაქის) სამხედრო განყოფილების უფროსი“.

4. 252-ე მუხლის მეორე ნაწილს ციფრების „1962-1966“-ის შემდეგ დაემატოს ციფრი 1971“.



5. 262-ე მუხლს ციფრის „174“ შემდეგ დაემატოს ციფრი „197“.

6. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —  
სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივლისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**161** საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრთა ნაცვლად არჩეულ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრთა ნაცვლად ლაგოდეხის № 3/15 და ლანჩხუთის № 7/61 საარჩევნო ოლქებში არჩეული პარლამენტის წევრების გიორგი (გიგა) ზიდუშელისა და ომარ ხუციშვილის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივლისი.





საქართველოს პარლამენტის დადგენილება  
პარტიული სიით არჩეული გამოკლებული  
**162** მენბის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილე-  
ბის ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული  
პარლამენტის წევრის ზურაბ მელქაძის ადგილმონაცვლის გიორგი  
წულაიას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო  
**163** მენბო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შე-  
მაღებულობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი დავით ჭელიძე საქართვე-  
ლოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრი-  
ვილეგიების კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.



**164** პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.

20317

**165** საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.

საქართველოს  
პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 166 საქართველოს რესპუბლიკაში უცხო- ელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნი- სა და გასვლის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვ-  
ლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის  
კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე **რუსუდან ბერიძე**  
თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 167 ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვ- ლების შესახებ საქართველოს რეს- პუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე **რუსუდან ბერიძე**  
თბილისი, 1993 წლის 13 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 168 საქართველოს რესპუბლიკის ადმინის- ტრაციულ სამართალდარღვევათა კო- დექსში დამატებათა შეტანის შესახებ

იმის გამო, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუარესდა

საანგარიშგებო დისციპლინა, შესაბამის ორგანოებს უძნელდებათ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და ამის თაობაზე მმართველობის ორგანოების დროული ინფორმირება, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., N12, მუხლი 421) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 177<sup>2</sup> მუხლი:

„მუხლი 177<sup>2</sup>. სახელმწიფო საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევა  
333ა

სახელმწიფო საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევა, ე.ი. რეზიდენტების — იურიდიული პირების მიერ სტატისტიკური დაკვირვების პირველადი მონაცემების გაყალბება ან დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში მათი წარუდგენლობა, საიდენტიფიკაციო კოდის გარეშე რეზიდენტების რეგისტრაციის მოწმობის გაცემა, ან საბანკო ანგარიშის გახსნა და ფინანსური ოპერაციების წარმოება, რეზიდენტების პროფილის, მისამართის, დაქვემდებარებისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შესახებ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ორგანოებისათვის ცნობების მიუწოდებლობა, — გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის მინიმალური ანაზღაურების რვიდან თორმეტმაგ ოდენობამდე“.

2. 208-ე მუხლს ციფრის „177<sup>1</sup>“ — შემდეგ დაემატოს ციფრი — „177<sup>2</sup>“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს ახალი აბზაცი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„177<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის შესაბამისი ორგანოები“.

4. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური**  
**ედუარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომბაძე**

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 169 საკუთრების უფლების შესახებ

### 1. ზოგადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლება წესრიგდება კონსტიტუციით (ძირითადი კანონით), სამოქალაქო სამართლის კოდექსით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების უფლების შესახებ ადგენს საკუთრებითი ურთიერთობის წარმოშობის, განხორციელების, დაცვისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს.

### მუხლი 1.

#### საკუთრების უფლების საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებანი.

მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირს; მოახდინოს თავისი ქონების მიმართ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება; გადასცეს თავისი ქონება სხვა პირის საკუთრებაში; გამოიყენოს თავისი ქონება სამეურნეო და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკაში ქონების საკუთრების უფლებას, მესაკუთრის ადგილსამყოფელის მიუხედავად, იცავს კანონი. კანონი იცავს აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების, იურიდიული პირების და სახელმწიფოს საკუთრებას საზღვარგარეთ.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირობებსა და ფარგლებში მესაკუთრეს შეიძლება დაეკისროს მისი ქონების სხვა პირთა მიერ შეზღუდული გამოყენების მოვალეობა.

მესაკუთრეს აკისრია მისი კუთვნილი ქონების შემთხვევითი მოსპობის ან გაფუჭების რისკი.

მესაკუთრისაგან საკუთრების უფლების განხორციელება ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს, არ უნდა ლახავდეს მოქალაქეთა.

იურიდიულ პირთა და სახელმწიფოს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

საკუთრების უფლების განხორციელების შედეგად სხვა პირთა კანონით დაცული ინტერესების შელახვა და ამით მიყენებული ზარალი მესაკუთრემ სრულად უნდა აანაზღაუროს.

## მუხლი 2.

### საკუთრების უფლების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების ობიექტებია: მიწა და მისი წიალი, წყლები, კონტინენტური შელვის რესურსები, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება.

მესაკუთრის ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, წარმოებული პროდუქცია, ნაყოფი და სხვა შემოსავალი ეკუთვნის მესაკუთრეს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით ან ხელშეკრულებით.

## მუხლი 3.

### საკუთრების უფლების სუბიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების სუბიექტები (მესაკუთრენი) არიან საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები და სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება არსებობდეს უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა საკუთრება, რომელზეც ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველო მონაწილეობს.

საქართველოს რესპუბლიკაში ქონება შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში.

დაშვებულია კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთი-

ანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანება და ამ საფუძველზე შერეული საკუთრების შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორია, დაცულია კანონით და ხელშეუხებელია.

## მუხლი 4.

### საერთო საკუთრების უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში ქონება ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ან რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაში, თითოეული პირის წილის განსაზღვრით (წილობრივი საკუთრება) ან წილის განუსაზღვრელად (საზიარო საკუთრება).

საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება ყველა მესაკუთრის შეთანხმებით, ხოლო მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში — სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეს აქვს თავისი წილის გამოყოფის, ხოლო თანამესაკუთრეს — თავისი წილის განსაზღვრისა და გამოყოფის უფლება. წილის განსაზღვრისა და გამოყოფის წესი ღვინდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საერთო საკუთრების წილის გარეშე პირისათვის მიყიდვის შემთხვევაში საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებს გასაყიდი წილის ყიდვის უპირატესი უფლება აქვთ კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

## მუხლი 5.

### მიწის საკუთრების უფლება

ცალკეულ მესაკუთრეთა მიწის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება წესრიგდება მიწის კანონმდებლობით.

## მუხლი 6.

### საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა

მესაკუთრეს საკუთრების უფლება წარმოეშობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით შექმნილ ქონებაზე.

შექმნილ ან არსებითად გადაამუშავებულ ნივთზე, თავისი კუთვნილობის ქონების, ბუნებრივი რესურსების ან კანონის და ხელშეკრულების შესაბამისად ამ მიზნით მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული სხვა ქონების გამოყენების შედეგად მიღებულ პროდუქტებზე, ნაყოფზე და სხვა შემოსავალზე.

ქონების შემქმნისათვის საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ სათანადო რეგისტრაციის შემდეგ კეთილსინდისიერად და ღიად, როგორც მესაკუთრე, ფლობს უძრავ ქონებას უწყვეტად სულ ცოტა თხუთმეტი წლის ან სხვა ქონებას ხუთი წლის განმავლობაში, იძენს ამ ქონების საკუთრების უფლებას.

საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდება მესაკუთრის მიერ საკუთრების ობიექტის გასხვისების, აგრეთვე საკუთრების ობიექტის მოსპობის შედეგად.

კერძო, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) საკუთრებაში არსებული კანონიერი გზით შექმნილი ქონება, რომელიც კანონის შესაბამისად არ შეიძლება ეკუთვნოდეს მესაკუთრეს, ექვემდებარება გასხვისებას ერთი წლის განმავლობაში, თუ სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, თუ მესაკუთრე აღნიშნულ ვადაში არ გაასხვისებს ამ ქონებას, სასამართლოს გადაწყვეტილებით ის დაექვემდებარება იძულებით გასხვისებას მესაკუთრისათვის ქონების ღირებულების ანაზღაურებით და გასხვისების ხარჯების გამოკლებით.

სტიქიური უბედურების, ავარიების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების და სხვა საგანგებო შემთხვევებში, სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესების გამო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით, მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება და აუნაზღაურდეს მისი ღირებულება (რეკვიზიცია).

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით, მესაკუთრეს ჩადენილი დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის გამო სანქციის სახით შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი ქონება (კონფისკაცია).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვე-



ვებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებით, მესაკუთრეს შეიძლება დროებით ჩამოერთვას და აეკრძალოს ან შეეზღუდოს სადავო ქონების განკარგვა (სეკვესტრი).

მესაკუთრის კუთვნილი ქონების მიმართ იძულებითი გასხვისების, რეკვიზიციის, კონფისკაციისა და სეკვესტრის კონკრეტული პირობების გამოყენების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

## მუხლი 7.

### გადახდევინება მესაკუთრის ქონებიდან

მოქალაქე პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისათვის მის საკუთრებაში არსებული ქონებით. იმ ქონების ნუსხა, რომელზეც კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად არ შეიძლება გადახდევინება მესაკუთრის ქონებიდან, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

იურიდიული პირი თავის ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მის საკუთრებაში არსებული მთელი ქონებით.

მესაკუთრე ან იურიდიული პირის დამფუძნებელი პასუხს არ აგებს მის მიერ შექმნილი იურიდიული პირის ვალდებულებებისთვის, ხოლო იურიდიული პირი პასუხს არ აგებს მესაკუთრის ან დამფუძნებლის ვალდებულებებისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით და იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებით.

## II. კერძო საკუთრების უფლება

### ა) მოქალაქის საკუთრების უფლება

## მუხლი 8.

### მოქალაქის საკუთრების უფლების შეძენა

მოქალაქის საკუთრება წარმოიშობა კანონით ნებადართული ყველა საქმიანობით და მისი ანაზღაურებით, მემკვიდრეობით და კანონით დაშვებული სხვა გზებით.

## მუხლი 9.

### მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტები

მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს.

მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტების რაოდენობრივი და სახეობრივი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ბ) იურიდიული პირების საკუთრების უფლება

## მუხლი 10.

### იურიდიული პირების საკუთრების უფლების შექმნა

იურიდიული პირების საკუთრება წარმოიშობა მონაწილეთა წილით, იურიდიული პირის სამეურნეო და კანონით დაშვებულ სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული და შექმნილი ქონებით.

## მუხლი 11.

### იურიდიული პირების საკუთრების უფლების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში იურიდიული პირების საკუთრების უფლების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება.

## III. სახელმწიფო საკუთრების უფლება

## მუხლი 12.

### ზოგადი დებულებანი სახელმწიფო საკუთრების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება, რომელსაც მესაკუთრის მიერ უფლება-

მოსილი ორგანოები ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 13.

### სახელმწიფო საკუთრების უფლების ობიექტები

სახელმწიფო საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, სახელმწიფოს განუყოფელი სუვერენიტეტი აქვს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე — თავისუფლად განკარგოს საკუთარი რესურსები თავისი პოლიტიკის შესაბამისად და სხვა სახელმწიფოებსაც პატივი აცემინოს ამ უფლებისათვის.

ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისა და დაცვის წესს განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა.

სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებია განსაკუთრებული მნიშვნელობის მიწა და მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლების, აგრეთვე კონტინენტური შელფის და საზღვაო ეკონომიკური ზონის რესურსები, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლები, სახელმწიფო ხაზინის ფასეულობები, სახელმწიფო ბანკები, სახელმწიფო საპენსიო, სადაზღვევო და სხვა ფონდები, შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების და სამართალდამცავი ორგანოების და სხვა ქონება, რომლის საერთო ნუსხა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება.

## მუხლი 14.

### სახელმწიფო საკუთრების უფლების სახეობანი

სახელმწიფო საკუთრების უფლების სახეობანია:

რესპუბლიკური საკუთრება;

ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება;

ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება.

საკუთრების ობიექტების ნუსხა საკუთრების უფლების ცალკეულ სახეობათა მიხედვით შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება.

## IV. საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრების უფლება

### მუხლი 15.

#### ზოგადი დებულებანი საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრების უფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაა კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება.

### მუხლი 16.

#### საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საკუთრების უფლება

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ შორის მოძრაობებს, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, რომლებიც საჭიროა მათი საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის და იქმნება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, საზოგადოებრივი, პოლიტიკური გაერთიანებებისა და ფონდების სახსრების ხარჯზე, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება. პოლიტიკური გაერთიანების საკუთრებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც არ არის აკრძალული პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ამ ორგანიზაციების წესდებით გათვალისწინებული წესით ნაწილდება.

### მუხლი 17.

#### რელიგიური ორგანიზაციების საკუთრების უფლება

რელიგიურ ორგანიზაციებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ



კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, რომლებიც საჭიროა საეკლესიო, სამონასტრო და სარწმუნოებრივი საქმიანობისათვის, მათ შორის ნაგებობა, საკულტო საგანი, საწარმო, რომლებიც მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინეს და შექმნეს საკუთარი სახსრებით ან შემოწირულობების სახით გადასცეს მოქალაქეებმა ან იურიდიულმა პირებმა, ან გადასცა სახელმწიფომ, ან შეიძინეს კანონით გათვალისწინებული სხვა წესით გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთნება.

**V. უცხო სახელმწიფოთა, უცხოელთა, უცხოელ იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრების უფლება**

**მუხლი 18.**

**უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრების უფლება**

უცხო სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება ჰქონდეთ საკუთრება, რომლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, აგრეთვე სათანადო ხელშეკრულებებით განისაზღვრება.

**მუხლი 19.**

**უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება**

უცხოელებს და უცხოელ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში იქონიონ ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება.

## მუხლი 20.

### საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა საკუთრება საზღვარგარეთ

საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ პირებს და მოქალაქეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საზღვარგარეთ საკუთრება, რომლის მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებანი შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებებით განისაზღვრება.

## VI. საკუთრების უფლების დაცვა

### მუხლი 21.

#### საკუთრების უფლების დაცვის ძირითადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების დაცვის გარანტიაა სახელმწიფო.

მესაკუთრეს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან.

მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების ყოველგვარი დარღვევის აღკვეთა, თუნდაც ეს დარღვევები დაკავშირებული არ იყოს მფლობელობის ჩამორთმევასთან.

### მუხლი 22.

#### მესაკუთრის ინტერესების დაცვა კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მისი უფლებების შეწყვეტის დროს

ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილება მესაკუთრის უფლების შეწყვეტის შესახებ, თუ მას მესაკუთრე არ ეთანხმება, ძალაში ვერ შევა სასამართლო გადაწყვეტილებამდე. დავის განხილვის დროს წყდება აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

## მუხლი 23.

### მესაკუთრის უფლებების დამრღვევი აქტების ბათილობა

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტები, რომლებითაც ირღვევა მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის უფლებები ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან განკარგვის სფეროში, სასამართლო წესით ბათილდება უფლებამწიფე მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის სარჩელის საფუძველზე.

ამ შემთხვევაში მესაკუთრისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის მიყენებულ ზარალს მთლიანად ასეთი აქტის გამომცემი ორგანო ანაზღაურებს.

## მუხლი 24.

### სხვა სანიეთო უფლებები

მესაკუთრის შეხედულებისამებრ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება შეიძლება გადაცემული ჰქონდეს სხვა პირს, რომელიც ამ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით ან ქონების მესაკუთრისაგან განსაზღვრულ ფარგლებში.

იმ პირთა უფლებები და ინტერესები, რომლებიც განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებენ მესაკუთრის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფილია იმავე გარანტიებით, როგორც მესაკუთრისა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური  
ედუარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 15 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დამფუძნებელი**

**170 საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:



1. საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკის საკითხთა და იურიდიულმა კომისიებმა სამი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანამდე, მოქმედებს ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი მახტან ბოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 15 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**171 ქ. ფოთის N70 საარჩევნო ოლქში გამოკლებულის ნაცვლად არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის რომან მელიას ნაცვლად ქ. ფოთის N70 საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის ბაკურ გულუას უფლებამოსილება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი მახტან ბოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**172 საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მუშაობის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:



ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გაგრძელდეს საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მუშაობა 1993 წლის 1 აგვისტომდე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე პანტაონ რაქულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**173 საერთაშორისო აქტებთან შეერთების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს შემდეგ საერთაშორისო აქტებს:

ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას მოქმედ არმიაში დაკრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;

ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო-საზღვაო ძალების რიგებიდან დაკრილთა, ავადმყოფთა და საზღვაო ავარიების დროს დაზარალებულთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;

ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ;

ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ;

ენევის კონვენციების 1949 წლის 12 აგვისტოს დამატებით ოქმს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასაცავად (ოქმი I).

ენევის კონვენციების 1949 წლის 12 აგვისტოს დამატებით ოქმს, არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასაცავად (ოქმი II).

2. ეს ეცნობოს:

ა) შეიქცარიის პრეზიდენტს;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს;

გ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი პანტაონ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.



# 174 საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონის პროექტისათვის გამარტივებული პროცედურით კენჭისყრის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:  
ემიგრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტს კენჭი უყაროს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე **მასტანო რაჩულიშვილი**.  
თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

# 175 საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონი

## თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ემიგრაციის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს საქართველოდან ემიგრაციის, ანუ სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრების უფლება. არ შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2.

საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონის მიზანი

ემიგრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინ-



ციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლება დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან; განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად წასვლის (ემიგრაციის) წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

### მუხლი 3.

#### ემიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

ემიგრაციას საქართველოს რესპუბლიკიდან აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

### მუხლი 4.

#### საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მიერ ქონების გატანა საზღვარგარეთ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც ემიგრაციაში მიდის, უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი საკუთარი მოძრავი ქონება, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

## თავი II

#### საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციისათვის საბუთების გაფორმების წესი

### მუხლი 5.

#### საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციაში მიდიან შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაცემული პასპორტით.

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები პასპორტის გაცემის თაობაზე მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას.



პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოს რესპუბლიკიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის.

პასპორტი საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებაა.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საემიგრაციო პასპორტის გაფორმების და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

## მუხლი 6.

### საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა

საქართველოს მოქალაქის პასპორტი ძალაშია მისი გაცემის დღიდან 5 წლის მანძილზე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, საქართველოში ყოფნისას კი — შინაგან საქმეთა ორგანოებს.

## მუხლი 7.

### შუამდგომლობა საემიგრაციო პასპორტის გასაცემად

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან და ქმედუნარიან მოქალაქეს.

დაინტერესებულ პირს საემიგრაციო პასპორტის მისაღებად შუამდგომლობა შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც შეტანილია პასპორტში და უნდა ერთვოდეს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ასლი;
2. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს თან მიჰყვებიან 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვები, — მათი წერილობითი

თანხმობა კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გამგზავრების თაობაზე;

3. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ კანონიერ წარმომადგენელს თან მიჰყვებიან არასრულწლოვანი ბავშვები, ხოლო მეორე კანონიერი წარმომადგენელი რჩება საქართველოში — ამ უკანასკნელის თანხმობა არასრულწლოვან ბავშვთა ემიგრაციაზე.

## მუხლი 8.

### არასრულწლოვან ბავშვთა ემიგრაცია

18 წლამდე ბავშვები საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციაში მიდიან თავიანთ კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად, ხოლო თუ ისინი მიემგზავრებიან უცხოეთში მყოფ თავიანთ კანონიერ წარმომადგენლებთან და აქვთ ამ უკანასკნელთა თანხმობა, — სრულწლოვან და ქმედუნარიან თანმხლებ პირთან ერთად.

თუ საქართველოს რესპუბლიკიდან არასრულწლოვანი ბავშვების ემიგრაციის საკითხში მათი კანონიერი წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან, დავა სასამართლოს წესით გადაწყდება.

## მუხლი 9.

### არაქმედუნარიან პირთა ემიგრაცია

დაუშვებელია არაქმედუნარიან პირთა ემიგრაცია მათი კანონიერი წარმომადგენლების ნებართვისა და ქმედუნარიანი სრულწლოვანი პირის თანხლების გარეშე.

## მუხლი 10.

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის განხილვის ვადა

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობა განიხილება ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან სამ თვეში.

## მუხლი 11.

### სახელმწიფო ბაჟი

საემიგრაციო პასპორტის მისაღებად შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

## მუხლი 12.

### საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები

დინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე, თუ:

1. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
2. არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით შეფარდებული სასჯელი;
3. მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი;
4. არ შეუსრულებია სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება და იმ ქვეყანასთან, სადაც მიემგზავრება, საქართველოს ხელშეკრულება არა აქვს დადებული სამართლებრივი დახმარების შესახებ;

5. წვევამდელის ასაკისაა და არ მოუხდია სამხედრო ბეგარა, თუ კანონით დადგენილი წესით არ არის გათავისუფლებული ამ სამსახურიდან;

6. სამუშაოს ხასიათის გამო მისთვის ცნობილია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებანი და არ გასულა კანონით დადგენილი ვადა იმ დღიდან, რომლიდანაც იგი დაკავშირებული არ არის ამ სამუშაოსთან; ამასთან ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 წელს;

7. ემიგრაციაზე შუამდგომლობის შეტანისას წარმოადგენს ყალბ ან ბათილ საბუთებს.

გადაწყვეტილება უარის შესახებ მოქალაქეს უნდა ეცნობოს წერილობით ათი დღის ვადაში.

## მუხლი 13.

### სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და უწყებების მონაცემები საქართველოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციასთან დაკავშირებით

საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამისი მოთხოვნით სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და უწყებები ვალდებული არიან წარმოადგინონ მონაცემები ამ კანონის მე-12 მუხლში მითითებულ გარემოებებზე.

## მუხლი 14.

**საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე ან საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლება**

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე ან საზღვრის გადაკვეთაზე, უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 15.

**საემიგრაციო პასპორტის გასაცემად შუამდგომლობის განმეორებით განხილვა**

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საემიგრაციო პასპორტის გაცემაზე, ამავე საკითხზე შუამდგომლობის განმეორებით წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც მას უარი ეთქვა პასპორტის გაცემაზე.

## მუხლი 16.

**საქართველოს რესპუბლიკიდან საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები**

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთისას გადიან საპასპორტო კონტროლს და პასპორტში ან მის შემცვლელ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი. საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

## მუხლი 17.

**საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა**

ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში და ამისათვის ნებართვა არ ესაჭიროება.

## მუხლი 18.

### ემიგრაციის სტატისტიკა

ემიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ამ მონაცემებს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
ედუარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

## 176 საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციის კანონი ძალაშია 1993 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით 1993 წლის 1 ოქტომბრამდე მიიღოს შესაბამისი ნორმატიული აქტები.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ ჩიქულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

## 177 გირავნობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

გირავნობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ ჩიქულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 178 ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე მასტანბ რჩაულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 179 საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ათი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დაფინანსება გაგრძელდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლების ფარგლებში.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი მასტანბ გომუშაძე**

თბილისი, 1993 წლის 23 ივლისი.

# 180 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ათი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გადამუშავებული პროექტი.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიჯანიძე**

თბილისი, 1993 წლის 23 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

# 181 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანიზაციული და ფუნქციური სრულყოფის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საჭიროდ ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანიზაციული და ფუნქციური სრულყოფა.
2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ერთი თვის ვადაში პარლამენტს წარმოუდგინოს წინადადებები მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის, მისი ახალი ფუნქციური ამოცანების თაობაზე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიჯანიძე**

თბილისი, 1993 წლის 23 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 182 საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. N 2, მუხ. 136) 48-ე მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შეთავსება, გარდა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისა“.

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური  
ედუარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი მასტანზ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

# 183 საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

**საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულება**

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულებაა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების შეუღობად განსაზღვროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა (ტექსტში შემდგომ „უცხოელები“) საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის, ანუ იმიგრაციის წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან

დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

## მუხლი 2.

### იმიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციას აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია ამ კანონისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

## თავი II.

### იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა

## მუხლი 3.

### იმიგრანტის სტატუსი

იმიგრანტად საქართველოს რესპუბლიკაში ითვლება უცხოელი, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების უფლება.

იმიგრანტის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს:

1. წარმოშობით ქართველს, ე.ი. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის მამა ქართველია;
2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მშობლებს, მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
3. იმიგრანტის მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან არასრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს;
5. უცხოელს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია;
6. მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოსვლა შეესაბამება საქართველოს ინტერესებს, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ-

ტექნიკოსებს და მუშებს, რომლებიც ესაქიროებიან საქართველოს მეურნეობას.

იმიგრანტის სტატუსის მისაღებად უცხოელს უნდა ჰქონდეს შემოსავლის მუდმივი ლეგალური წყარო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს თავისი (თავისი ოჯახის წევრების) მინიმალური საარსებო მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა ფულად ეკვივალენტს სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გაანგარიშების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თუ იმიგრანტს არა აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობანი, უნდა არსებობდეს მისი (მისი ოჯახის წევრის) შრომითი მოწყობის გარანტია. ასეთ დასკვნას იძლევა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო.

ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

#### მუხლი 4.

##### საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე:

1. თუ ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;

2. თუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

3. თუ მისი ჩამოსვლა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის ზნეობაზე;

4. თუ დაავადებულია შიდსით, ვენერიული ავადმყოფობით ან სხვა ისეთი სენით, რომელიც შედის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ნუსხაში, შეპყრობილია ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით;

5. თუ მან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების ნებართვის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზის მოსაპოვებლად წარმოადგინა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთები;



6. თუ ადრე გაძევებული იყო საქართველოს რესპუბლიკიდან;
7. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 5.

### იმიგრანტის შემოსვლა საქართველოს რესპუბლიკაში

უცხოელს, რომელიც მიიღებს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვას, საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო დაწესებულებათა მეშვეობით მიეცემა საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზა.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელ ვიზას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან. თუ ამ ხნის მანძილზე უცხოელი არ ჩამოვა საქართველოში, ვიზა კარგავს ძალას, ხოლო საქართველოს რესპუბლიკაში მისი იმიგრაციის საკითხი გადაწყდება ხელახლა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

უცხოელი, რომელმაც მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას გადის საპასპორტო კონტროლს, რომლის დროსაც მან უნდა წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა, შემოსასვლელი ვიზა, პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას ყოველი იმიგრანტი გადის სავალდებულო სამედიცინო კონტროლს.

იმიგრანტს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლაზე, თუ არსებობს ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

## მუხლი 6.

### იმიგრანტთა რეგისტრაცია

ყოველი იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია შინაგან საქმეთა ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმიგრანტი ვალდებულია შეატყობინოს შინაგან საქმეთა ორგანოებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

## მუხლი 7.

### საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების საფუძველი

იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკიდან შეიძლება გაძვედეს, თუ:

1. ცნობილი გახდება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა მოიპოვა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენის გზით;
2. ჩაიდენს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს;
3. განზრახ სისტემატურად არღვევს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას ან უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ზნეობაზე;
4. მისი ყოფნა საქართველოს რესპუბლიკაში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს;
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების შესახებ იღებს იუსტიციის მინისტრი შესაბამისად შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის წარდგინების საფუძველზე.

ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება იმიგრანტის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ მისი გამოტანის მომენტიდან 10 დღის ვადაში წერილობით ეცნობება იმიგრანტს, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღეში დატოვოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. იმიგრანტს უფლება აქვს ასეთი გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. ამ შემთხვევაში 30-დღიანი ვადის მიმდინარეობა წყდება და განახლდება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან დატოვონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია სასჯელის მოხდის შემდეგ 30 დღის ვადაში.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების თაობაზე არ ვრცელდება იმიგრანტის ოჯახის წევრებზე.

## მუხლი 8.

### საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის იძულებითი გაძევება

იმიგრანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქართველოს რესპუბლიკიდან იძულებით გაძევდება.

იძულებითი გაძევების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

## მუხლი 9.

### იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალებები

იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალებები საქართველოს რესპუბლიკაში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

## თავი III.

### საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებული პროცესების სახელმწიფო რეგულირება და მართვის ორგანიზაცია

## მუხლი 10.

### საიმიგრაციო კვოტა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ყოველწლიურად ხდება საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმიგრაციის ზღვრული სიდიდის დადგენას.

იმიგრაციის კვოტას ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

## მუხლი 11.

### იმიგრაციის კვოტის შესახებ

სახელმწიფო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფოს



მეთაურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადების საფუძველზე შეუძლია შეზღუდოს იმიგრაციის კვოტა.

## მუხლი 12.

### იმიგრაციის მართვის ორგანიზაცია

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს და წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობათა წინასწარი განხილვის და მასალების მომზადების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახური. საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობენ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

## მუხლი 13.

### იმიგრანტის ადაპტაციის ხელშეწყობა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციის პრობებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

### თავი IV.

### იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა შეტანის და განხილვის წესი

## მუხლი 14.

### იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა შეტანის წესი

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს ქმედუნარიან და სრულწლოვან უცხოელს.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობა დაინტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში უშუალოდ, ან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობათა მეშვეობით.

შუამდგომლობას იმიგრაციის შესახებ უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ან მასთან გათანაბრებული საბუთის ასლი;

2. ცნობა ოჯახის წევრთა შემადგენლობის შესახებ, ქორწინების მოწმობის ასლი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთებისა, შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

1. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

მამის ეროვნების დამადასტურებელი საბუთი;

თუ მშობლის ეროვნების დადასტურებისათვის საკირო ვახდა საარქივო მასალების მოპოვება, შუამდგომლობის აღმძვრელ პირს იუსტიციის სამინისტრომ უსასყიდლოდ უნდა აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ნათესავის მიერ გაგზავნილი მოწვევა;

ბ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთი.

3. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) თუ ისინი თან მოჰყვებიან შუამდგომლობის აღმძვრელ პირს, ამ უკანასკნელის შუამდგომლობა მათთვის იმიგრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) თუ ისინი საცხოვრებლად ჩამოდიან იმიგრანტთან. — ამ უკანასკნელის მოწვევა.

4. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) მეურვეობის ან მზრუნველობის მოწმობა;

ბ) მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის თანხმობა.

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალის-

წინებულ შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ პირებს.

5. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

სპეციალობის (პროფესიის) დამადასტურებელი საბუთი;

თუ იმიგრანტ მშობლებს თან მოჰყვებიან 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილები. საჭიროა ამ უკანასკნელთა წერილობითი თანხმობა იმიგრაციაზე.

თუ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოდის მხოლოდ ერთი მშობელი, რომელსაც მოჰყვებიან 18 წლამდე ასაკის შვილები, მან უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით დამოწმებული მეუღლის თანხმობა იმის შესახებ, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ბავშვებმა იცხოვრონ იმიგრანტ მშობელთან ერთად; თუ ასეთი თანხმობა არ არის, იმიგრანტმა მშობელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება ბავშვების მიკუთვნების თაობაზე.

საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია იმიგრაციით დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი საბუთების წარმოდგენა.

## მუხლი 15.

### სახელმწიფო ბაჟი

იმიგრაციის საკითხზე შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

## მუხლი 16.

იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა განხილვისა და გადაწყვეტის ვადა

იმიგრაციის საკითხზე განცხადებათა განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

## მუხლი 17.

იმიგრაციის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

გადაწყვეტილება იმიგრაციის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ ექილება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## მუხლი 18.

**იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა**

იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა შეიძლება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

## მუხლი 19.

**იმიგრაციის სტატისტიკა**

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ამ მონაცემებს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
იღუარდ შეპარდნაქი**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

# 184 საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის 25 აგვისტომდე:

ა) იუსტიციის სამინისტროსთან შექმნას მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური და დაამტკიცოს ამ სამსახურის დებულება;

ბ) დაამტკიცოს დებულებები:

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის საკითხების განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა შემოსვლისა და



- საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის წესის შესახებ;
- იმიგრანტთა რეგისტრაციის წესის შესახებ;
- იმიგრანტის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების წესის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციისათვის ხელშეწყობის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკის შესახებ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე მანუჩარ მანუჩარიძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

**185 საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ**

**თავი I.**

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**

კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ განსაზღვრავს უცხოელთა (უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა):

- ა) საქართველოს რესპუბლიკაში დროებით შემოსვლასა და გასვლას;
- ბ) საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას;
- გ) უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას;
- დ) პასუხისმგებლობას ამ კანონის დარღვევისათვის.

## მუხლი 2.

კანონმდებლობას საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ შეადგენს ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

## თავი II.

უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკაში დროებით შემოსვლა

## მუხლი 3.

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელი მოქალაქეები შემოდინ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისათვის ღია გამშვები პუნქტებიდან მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტებით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირები — მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი საბუთის საფუძველზე, თუ აქვთ საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის, შემოსვლა-გასვლის, გასვლა-შემოსვლის და მრავალჯერადი გასვლა-შემოსვლის ვიზა.

## მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი შემოსვლის და შემოსვლა-გასვლის ვიზას გაცემს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა.

## მუხლი 5.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი შემოსვლის ვიზის გაცემის საფუძველია:

1. კერძო ვიზიტი:

ა) ტურისტული მოგზაურობა.

ტურისტული მოგზაურობისათვის დროებითი შემოსვლის ვიზა გაცემა სასყიდლით, დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე. სასყიდლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ტურისტული მოგზაურობისათვის დროებითი შემოსვლის ძალაშია გაცემის დღიდან 3 თვის განმავლობაში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის ან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები პირის მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში;

გ) საქართველოს რესპუბლიკაში არსებული სამკურნალო დაწესებულების მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება მკურნალობისათვის საჭირო დროით;

დ) სასამართლო პროცესში მონაწილეობა.

ვიზის გაცემის საფუძველია სასამართლოს შეტყობინება.

ამ საფუძვლით გაცემული ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის საჭირო დროით.

### 2. საქმიანი ვიზიტი:

იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებთან ეკონომიკური კავშირის დამყარებით, ვიზა ეძლევათ იურიდიული პირის მოწვევის საფუძველზე ან, თუ ასეთი მოწვევა არა აქვთ, სასყიდლით დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე. სასყიდლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

### 3. სამუშაოდ ჩამოსვლა:

ა) კონტრაქტით.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება კონტრაქტის ხანგრძლივობით.

უცხოელთა სამუშაო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე სამუშაოს შესრულება სათანადო კვალიფიკაციით არ შეუძლია საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ გამოუთქვამს ამ სამუშაოს შესრულების სურვილი. დასკვნას ამის შესახებ იძლევა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო;

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთა უცხოელი თანამშრომლების საქართველოს რესპუბლიკაში სამუშაოდ ჩამოსვლა-მონაწილეობის მიღება:



4. სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ვიზის გაცემის საფუძველია ღონისძიების ორგანიზატორთა მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება ღონისძიების ხანგრძლივობით.

5. ქველმოქმედება:

ვიზის მისაღებად უცხოელი ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს ან ორგანიზაციებს, რომელთა წარდგინების საფუძველზე გაიცემა ვიზა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

6. სასწავლებლად ჩამოსვლა:

ვიზის გაცემის საფუძველია სასწავლო დაწესებულების მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება სასწავლო პროცესის ხანგრძლივობით.

7. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თუ საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი ყოფნის ვადა არ აღემატება 3 თვეს, შეიძლება გაიცეს შემოსვლა-გასვლის ვიზა.

## მუხლი 6.

უცხოელს მომწვევი და მასპინძელი ორგანიზაციების ან პირადი შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მიეცეს გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზა. შუამდგომლობა გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზის გაცემის შესახებ შეიტანება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ან შინაგან საქმეთა ორგანოებში დაქვემდებარების მიხედვით.

გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზები მიეცემათ:

1. კაპიტალის დამზანდებლებს;

2. უცხოელებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებთან;

3. საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირების უცხოელ ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციის წევრებს და თანამშრომლებს, რომლებსაც სამუშაოს ხასიათის გამო ხშირად უხდებათ საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა-გასვლა;

4. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებს.



## მუხლი 7.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი დროებითი ვიზების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი დროებითი ვიზების მოქმედების ვადას დაქვემდებარების მიხედვით აგრძელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები და საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 8.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა უცხოელებს ეკრძალებათ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე.

### თავი III.

**საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა ცხოვრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა**

## მუხლი 9.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელები ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად რეგისტრირებული საზღვარგარეთის პასპორტებით. საზღვარგარეთის პასპორტების სარეგისტრაციოდ წარდგენა დანიშნულების პუნქტში ხდება ჩამოსვლიდან სამი დღის განმავლობაში, უქმე დღეების ჩათვლელად.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელების საზღვარგარეთის პასპორტებს არეგისტრირებენ საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა ორგანოები და სასტუმროები.

## მუხლი 10.

საზღვარგარეთის პასპორტების რეგისტრაციისგან თავისუფლებიან:

ა) უცხოეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, მთავრობისა და პარლამენტის დელეგაციების წევრები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მეთაურები და დელეგაციის წევ-

რები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული პირთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მოწვევით, აგრეთვე ამ დელეგაციათა ტექნიკური პერსონალი და ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები;

ბ) 18 წელს მიულწეველი უცხოელები;

გ) უცხოელები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ უკმე დღეებში ან მხოლოდ 3 დღით — სადავ დღეებში;

დ) კრუიზში მონაწილე უცხოელი ტურისტები;

ე) საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით ჩამოსული უცხოეთის სამხედრო გემებისა და სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟების წევრები.

სამხედრო გემებისა და სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟების წევრები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადმოდინან საქართველოს ნავსადგურში (გარნიზონში) უფროსი საზღვაო (სამხედრო) მეთაურის ნებართვის საფუძველზე შემოსული გემის (სამხედრო თვითმფრინავის) მიღების გეგმის შესაბამისად;

ვ) სამოქალაქო გემის ეკიპაჟის წევრები — საქართველოს რესპუბლიკის ნავსადგურებსა და სანავსადგურო ქალაქებში დგომისას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საექსკურსიო გასვლის დროს.

ზემოაღნიშნულ პირთა ნაპირზე ჩამოსვლის ნებართვას გაცემენ სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) საერთაშორისო ავიახაზის სამოქალაქო საპაერო ხომალდების ეკიპაჟის და საერთაშორისო მატარებლის ბრიგადის წევრები — იმ აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში ყოფნისას, რომლებიც მიმოსვლის მოქმედ განრიგშია აღნიშნული.

## მუხლი 11.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში რეგისტრირდება შემდეგ პირთა საზღვარგარეთის პასპორტები:

ა) უცხოეთის დაპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეთაურების, დიპლომატიური პერსონალის წევრების, საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის, სამხედრო ატაშეს აპარატსა და სავაჭრო წარმომადგენლობებში მომუშავე პირების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე დიპლომა-



ტიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეთაურთან მყოფი სტუმრებისა, თუ ისინი მის რეზიდენციაში ან აღნიშნულ წარმომადგენლობებსა და დაწესებულებებში ცხოვრობენ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მქონე უცხოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა უწყებების თანამშრომლების და მათი ოჯახების წევრებისა;

გ) საქართველოს რესპუბლიკაში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების, საქართველოს რესპუბლიკაში აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლობების თანამშრომლებისა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან აკრედიტებული წარმომადგენლობების თანამშრომლების, რომელთა შტაბ-ბინაც საქართველოს რესპუბლიკაშია და რომელნიც მოცემული ორგანიზაციების საწესდებო დოკუმენტების, ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების პასპორტები.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი წარმომადგენლობები ზემოაღნიშნულ პირებს აძლევენ დიპლომატიურ, საკონსულო ან სამსახურებრივ ბარათებს, ან აკეთებენ სარეგისტრაციო ჩანაწერს უშუალოდ საზღვარგარეთის პასპორტებში.

## მუხლი 12.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნება ეძლევა საკიროების შემთხვევაში რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა და მათი ოჯახის წევრთა საზღვარგარეთის პასპორტები, როცა ამის შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ მათი მიმღები და მასპინძელი ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, აგრეთვე რეგისტრაციაში გაატაროს საერთაშორისო ორგანიზაციების იმ თანამშრომელთა საზღვარგარეთის პასპორტები, რომელნიც აღნიშნული არ არიან ამ კანონის მე-10 მუხლში. ასეთ შემთხვევებში უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტები არ ექვემდებარება სასტუმროებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციას.

## მუხლი 13.

სასტუმროებში ხდება იქ მცხოვრებ უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტების რეგისტრაცია მათი ჩამოსვლის მიზნების და საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის ვადების მიუხედავად, გარდა ამ კანონის მე-10 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული პირობების პასპორტებისა.

## მუხლი 14.

შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციას ექვემდებარება იმ უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტები, რომელნიც აღნიშნული არ არიან ამ კანონის მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში.

## თავი IV.

**უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლახთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა**

## მუხლი 15.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ტრანზიტით გავლა უცხოელებს შეუძლიათ მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტით და საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის, ხოლო თუ ასეთი წარმომადგენლობა არ არსებობს, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანოს მიერ გაცემული სატრანზიტო ვიზით.

## მუხლი 16.

სატრანზიტო ვიზა გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთ ან რამდენიმე პუნქტში გაჩერების უფლებით, მეზობელ ქვეყანაში გამგზავრების უმოკლესი მარშრუტის შესაბამისად.

## მუხლი 17.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უვიზოდ სატრანზიტო გავლის უფლება აქვთ:

ა) საპაქრო ტრანსპორტის მგზავრებს, თუ არსებობს საპაქრო სივრცის გადაკვეთის წინასწარი ნებართვა;

ბ) საერთაშორისო ავიახაზების თვითმფრინავებით მგზავრობისას შუალედური გადაჯდომით, თუ მგზავრებს აქვთ დანიშნულების ქვეყანაში შესვლის უფლების დამადასტურებელი საბუთი და ავიაბილეთი, რომელშიც დამოწმებულია საქართველოს იმ აეროპორტიდან გამოფრენის თარიღი, სადაც შუალედური გადაჯდომა ხდება, და როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის დრო არ აღემატება 24 საათს. ამასთან, მგზავრებს უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლები;

გ) იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებთანაც საქართველოს რესპუბლიკას აქვს შესაბამისი შეთანხმება.

## მუხლი 18.

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სატრანზიტო გავლა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის საერთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო საავტომობილო კავშირებისთვის ღია გზებზე.

## მუხლი 19.

საქართველოს რესპუბლიკაში ტრანზიტით გამვლელი უცხოელები, რომელნიც იძულებული გახდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 24 საათზე მეტ ხანს გაჩერებულიყვნენ, ვალდებული არიან გაჩერებიდან 24 საათის განმავლობაში შინაგან საქმეთა ორგანოებში გააფორმონ საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის ნებართვა.

იძულებით გაჩერებად ჩაითვლება:

ა) სტიქიური უბედურება, რომელიც აფერხებს მატარებლის, ავტოტრანსპორტის, გემის ან თვითმფრინავის მოძრაობას;

ბ) სატრანსპორტო საშუალების აუცილებელი რემონტი ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

გ) ავადმყოფობა, როდესაც ექიმის დასკვნით ავადმყოფის შემდგომი მგზავრობა საფრთხეს შეუქმნის მის ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში ავადმყოფთან შეიძლება დარჩნენ მისი ოჯახის წევრები და თანმხლები პირები;

დ) როდესაც ფერხდება საკვანძო პუნქტში ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეში გადაჯდომა.



იძულებითი გაჩერებისას უცხოელს უფლება აქვს დაარჩეს მხოლოდ იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც შემთხვევა მოხდა, სანამ იძულებითი გაჩერების გამომწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება.

სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება და იძულებითი გაჩერების აღცილობის უფლების ნებართვის გაფორმება წარმოებს უცხოელის პირადი განცხადების საფუძველზე შესაბამისი ორგანოების ცნობის წარდგენით, რომელიც იძულებითი გაჩერების მიზეზსა და ხანგრძლივობას ადასტურებს.

## თავი V.

### საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლა

#### მუხლი 20.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელები ქვეყნის ტერიტორიიდან გადიან საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისთვის ღია გამშვები პუნქტებიდან მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტებით ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, თუ აქვთ საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის ან გასვლა-შემოსვლის ვიზები.

#### მუხლი 21.

საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლისა და გასვლა-შემოსვლის ვიზებს გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ქვემდებარეობის მიხედვით.

გასვლა-შემოსვლის ვიზა მიეცემათ იმ უცხოელებს, რომლებიც შემოსასვლელი ვიზის მოქმედების ვადის ფარგლებში დროებით გადიან საქართველოს რესპუბლიკიდან. გასვლა-შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ვიზის მოქმედების ვადას.

#### მუხლი 22.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელებს ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლა ეკრძალებათ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

თავი VI.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა  
პასუხისმგებლობა

მუხლი 23.

ამ კანონის დარღვევისათვის უცხოელები პასუხს აგებენ უცხო-  
ელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად.

მუხლი 24.

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან უცხოელები გაძევ-  
დებიან უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის  
29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად.

თავი VII.

დასკვნითი დებულება

მუხლი 25.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულე-  
ბებით დადგენილია ამ კანონში გათვალისწინებული წესებისაგან  
განსხვავებული წესები, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის  
საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
**ედუარდ შევარდნაძე**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გომეზაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**186** საქართველოს რესპუბლიკაში უცხო-  
ელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა  
და გასვლის შესახებ კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:



1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ კანონის დებულებებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტები.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე კახტანზ რეჟულიშვილი**  
თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 187 პოლიციის შესახებ

### თავი I.

#### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1.

#### საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია არის სამართალდამცავი გასამხედროებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც დეპარტამენტის სახით შედის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელ დაცვას.

აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

#### მუხლი 2.

#### პოლიციის ამოცანები

პოლიციის ამოცანებია:

კანონით დადგენილი წესით პიროვნების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;



დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება; დამნაშავე პირის ძებნა და დანაშაულის გახსნა; კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება. აკრძალულია პოლიციის გამოყენება იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც არ ეკისრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

### მუხლი 3.

#### პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის კანონები, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურის და მინისტრთა კაბინეტის ნორმატიული აქტები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, კანონები, ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობას.

### მუხლი 4.

#### პოლიციის საქმიანობის პრინციპები

პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის და საქვეყნოობის პრინციპებს.

პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

## მუხლი 5.

### საქვეყნობა პოლიციის საქმიანობაში

პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მოქალაქეებს.

პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, გამოძიებისა და მოკვლევის მასალები, ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 6.

### საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობანი

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

## მუხლი 7.

### პოლიციის თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულის გახსნის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის, მოკვლევის მიზნით პოლიცია თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და მოქალაქეებთან.

## თავი II.

### პოლიციის მოვალეობები და უფლებები

## მუხლი 8.

### პოლიციის მოვალეობები

პოლიცია თავისი ამოცანების შესაბამისად მოვალეა:

- 1) კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო

დახმარება;

2) შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კანონის შესაბამისად განახორციელოს სამართლებრივი დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, სამუშაო ან სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას;

3) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ზუსტად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები, მოქალაქის უფლებები შეზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. მოქალაქის უფლების იძულებითი შეზღუდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი წარუდგება მოქალაქეს, წარუდგენს პირადობის მოწმობას, განუმარტავს კონკრეტული შეზღუდვის გამოყენების საფუძველს და უფლებებს.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქესთან ურთიერთობის დროს ზუსტად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები. თუ პოლიციის თანამშრომლის მოქმედებას, როდესაც იგი ზღუდავს მოქალაქის უფლებას, თან სდევს სიტყვები: „კანონის სახელით!“, ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს და შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა;

4) დაადგინოს დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები და მათ აღმოსაფხვრელად ჩაატაროს სამართალდამრღვევ პიროვნებებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა;

5) გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული;

6) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედების და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ;

7) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამოც წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა. გამოვლენილი დანაშაულის დაწყებული საქმის წარმოების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს;

8) დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებზე;



9) შეასრულოს პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამომძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამომძიებო მოქმედების წარმოებისას;

10) მოძებნოს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც გამოძიებას და სასამართლოს ემალება, მოძებნოს უგზო-უკვლოდ დაკარგული და სხვა პირები, რომელთა მოძებნაც მას კანონით ევალება;

11) ჩაატაროს ტექნიკურ-კრიმინალისტური გამოკვლევები ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

12) მიიღოს გადაუღებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

13) საგანგებო წესების, სამხედრო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს — საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

14) გადაუღებელი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებრივად საშიში ქმედებისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

15) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობები;

16) უზრუნველყოს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ძლიერმოქმედ ქიმიურ და შხამიან ნივთიერებათა, თავდაცვის ინდივიდუალურ საშუალებათა შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნის კანონით დადგენილი რეჟიმის, ტარების, სასროლეთების და სხვა ობიექტების გახსნისა და საქმიანობის წესების დაცვა (ამ ობიექტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი);

17) საპაერო ხომალდის და საზღვაო ტრანსპორტის მგზავრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეამოწმოს გადასატანად წარმოდგენილი მგზავრის ხელბარგი და ბარგი, თუ საჭიროა პირადად შეამოწმოს მგზავრი;

18) კანონით დადგენილი წესით გასცეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობა. უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ რეგისტრაციის და სატრანსპორტო მგზავრობის წესების დაცვა;

19) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამომძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

20) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ;

21) კანონით გათვალისწინებული წესით სამედიცინო დაწესებულებაში მიიყვანოს ქრონიკული ალკოპოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ვენერიული სენით ან შიდსით დაავადებული პირი, რომელიც თავს არიდებს ამ დაწესებულებაში გამოცხადებას;

22) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

23) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მაწანწალობისა და ბავშვთა უმეტეაღყურების თავიდან აცილებაში;

24) უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და გადაყვანა;

25) აღასრულოს მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ;

26) ხელშეკრულების საფუძველზე დაიცვას მესაკუთრის ქონება;

27) განახორციელოს გადაუღებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს ან მესაკუთრეს;

28) უზრუნველყოს ნაპოვნი ან პოლიციაში ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობებისა და სხვა ქონების დაცვა-შენახვა. მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათი გადაცე-

მისთვის ან დადგენილი წესით რეალიზაციისთვის;

29) დადგენილი წესით აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირის შესახებ, რომელიც სისტემატურად ლოთობს არასამედიცინო მიზნით იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს თუ სხვა გამაბრუებელ საშუალებებს, ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო მონაცემები, რომ დაავადებულია გადამდები ვენერიული სენით ან შიდსით;

30) განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება საფრთხეშია;

31) უზრუნველყოს მიტინგების, დემონსტრაციების, მოქალაქეთა მშვიდობიანი მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება;

32) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას დეპუტატები, დეპუტატობის კანდიდატები, მათი ნდობით აღჭურვილი პირები, სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირები, საარჩევნო კომისიები, თუ მათ კანონიერ საქმიანობას წინააღმდეგობა ექმნება;

33) დაეხმაროს სახანძრო და მაშველ სამსახურებს ხანძრის თავიდან აცილების, ჩაქრობის, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების დროს;

34) დაეხმაროს სამხედრო მმართველობის ორგანოებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის, სამხედრო ქონების, აგრეთვე სავალდებულო სამხედრო სამსახურს თავსარიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო ვალდებულთა მოძებნაში;

35) დაეხმაროს ბუნების დაცვისა და საბაჟო სამსახურებს კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

36) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკონტროლოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეზღუდვების შესრულება, რომლებიც დაწესებული აქვთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლებულ პირებს; პირებს, რომლებიც სასჯელის მოხდისგან პირობით არიან გათავისუფლებული; პირებს, რომელთაც გადაედოთ განაჩენის აღსრულება;

37) წერილობით ან ზეპირად ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში მოქალაქეს, რომლის მიმართ პოლიციამ უკანონოდ გამოიყენა

იძულების ღონისძიებები. მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები პოლიციის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად დაზარალებული მოქალაქის, ორგანიზაციის მორალური ან ქონებრივი რეაბილიტაციისთვის.

შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

## მუხლი 9.

### პოლიციის უფლებები

პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს:

1) მოსთხოვოს მოქალაქეს დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

2) შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შესახებ;

3) სისხლის სამართლის საქმის ან ადმინისტრაციული გადაცდომის მასალებთან დაკავშირებით პოლიციაში გამოიძახოს მოქალაქე, ჩამოართვას ახსნა-განმარტება, მოსთხოვოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები; კანონით დადგენილი წესით იძულებით წარადგინოს პოლიციაში მოქალაქე, თუ იგი არასაპატიო მიზეზით თავს არიდებს გამოცხადებას;

4) შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

5) წარადგინოს და პოლიციაში არაუშეტეს რვა საათისა ამყოფოს სამართალდამრღვევი მისი პიროვნების დადგენისა და ნივთების დათვლიერების მიზნით, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ შეადგინოს სათანადო ოქმი;

6) დადგენილი წესით ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება;

7) დადგენილი წესით დააკავოს პირი, რომელსაც მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით

გათავისუფლდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და თვითნებურად მიატოვა სამუშაო ადგილი;

8) სამედიცინო დაწესებულებაში წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ; გაასინჯინოს გამოსაფხიზებლად მიყვანილი პირი, შეინახოს მისი ნივთები, დოკუმენტები, რის შესახებაც შეადგინოს სათანადო ოქმი;

9) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;

10) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და დაცვის კონტროლი;

12) დანაშაულის აღკვეთის, დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მიზნით, ან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მობინადრეთა თანხმობის გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ბინაში, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის და კერძო პირის კუთვნილ არასაცხოვრებელ სათავსში, მიწის ნაკვეთში (აუცილებლობის შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებითაც), ექსტერიტორიული და სპეციალური სარეჟიმო სტატუსის მქონე არასაცხოვრებელი სათავსის და მიწის ნაკვეთის გარდა, რაც არა უგვიანეს 24 საათისა წერილობით აცნობოს პროკურორს;

13) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე მშვიდობიანი აქცია, თუ იგი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;

14) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეულ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით ჩაკეტოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

15) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები; მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღსაკვეთად; მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, გააკონტროლოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვა, დადგენილი წესით



ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერება, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალება. გასცეს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა;

16) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაშია; პოლიცია მოვალეა ადგილზე შეამოწმოს ეს პირი და დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში სიმთვრალის ხარისხის დასადგენად;

17) დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მისცეს ნებართვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შეიძინონ, შეინახონ, გადაიტანონ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, აქტიური თავდაცვის საშუალებები და ნაკეთობანი, გაზის პისტოლეტები, გაზიანი ბალონები, ელექტროშოკური მოწყობილობები და სხვა; გააუქმოს ეს ნებართვა, თუ მისი მფლობელები არ ასრულებენ მათი ხმარების დადგენილ წესს და აუცილებლობის შემთხვევაში ჩამოართვას მათ აღნიშნული საგნები, საშუალებები და ნაკეთობანი;

18) დადგენილი წესით გასცეს იარაღის სარემონტო, პიროტექნიკური საწარმოს, სასროლეთის, ტირის, ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით მოვაკრე მალაზიის გახსნის ნებართვა; გააუქმოს ასეთი ნებართვა, თუ მისი მფლობელი არღვევს დადგენილ წესს;

19) დამნაშავეს დენის, დაკავებულის პოლიციაში წარმოსადგენად, აგრეთვე, სამკურნალო დაწესებულებაში იმ პირთა მისაყვანად, რომლებიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, უფასოდ ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით (დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტის გარდა);

20) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობის საფუძველზე საბაჟო სამსახურთან ერთად ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება;

21) სამხედრო პატრულის არყოფნის შემთხვევაში დააკავოს სამხედრო მოსამსახურე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და

დანაშაულის ჩადენისათვის; გადასცეს დაკავებული სამხედრო მოსამსახურე და მოსაკვლევე მასალები სამხედრო კომენდანტს, სამხედრო ნაწილის მეთაურს ან სამხედრო პროკურატურას;

22) საგანგებო, სამხედრო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით, პოლიცია დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში აწყოზს რეიდებს. რეიდის დროს პოლიციას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სპეციალური ტრანსპორტის გარდა); მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, მართვის უფლების მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი, საგზაო ფურცელი, ზედღებულის; სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთის შემოწმება და ჩხრეკა, მოქალაქის პირადი შემოწმება ან პირადი ჩხრეკა;

23) უსასყიდლოდ მიიღოს საწარმოს, ორგანიზაციისა და მოქალაქისგან ინფორმაცია, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

24) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

25) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის), ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია, ფოტო-კინო-აუდიო და ვიდეო გადაღება, შედარებითი გამოკვლევებისათვის ნიმუშების აღება;

26) მგზავრების პირადი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით დადგენილი წესით შეაყოვნოს საარჩევნო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა არა უმეტეს 30 წუთისა;

27) დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეის დაკავების მიზნით

ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით.

### თავი III.

**ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

#### მუხლი 10.

ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქისა და პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

სპეციალური საშუალების სახე, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

#### მუხლი 11.

**ფიზიკური იძულების გამოყენება**

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავეისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს

პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

## მუხლი 12.

### სპეციალური საშუალებების გამოყენება

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებთან ბრძოლის მიზნით პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძალი და ცხენი, ელექტროშოკური მოწყობილობა;

1) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება — დანაშაულის და საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს პოლიციის თანამშრომელს, ან ცდილობს გაქცევას; დაკავებულის და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას; თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს თავის თავს და გარეშე პირებს;

2) რეზინის ხელკეტი — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

3) ცრემლსადენი გაზი — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე, დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

4) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა — სახელმწიფო და საზოგადოებრივ ობიექტებზე თავდასხმის



მოსაგერიებლად, პოლიციის თანამშრომელზე და მოქალაქეზე დასახმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამოწვევი პირის დასაკავებლად, შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დამნაშავეის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, მძევლების გასათავისუფლებლად;

5) ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება — სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა გაჩერებულიყო;

6) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

7) წყალსატყორცი და ჯავშანმანქანა — საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად; სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ობიექტებზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა გაჩერებულიყო, შეიარაღებულ დამნაშავეთა დასაკავებლად;

8) სპეციალური საღებავი — დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსაველენად;

9) სასამსახურო ძაღლი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ბადრაგირებისას, მოქალაქეზე ან პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

10) სასამსახურო ცხენი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, საპატრულო სამსახურის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად;

11) ელექტროშოკური მოწყობილობა — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე ან დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს ფიზიკური ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ უშუალო უფროსს და პროკურორს.

პოლიციის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა



შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან ეკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო აქტებით.

### მუხლი 13.

#### ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი.

პოლიციის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

1) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

2) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

3) მძევლების გასათავისუფლებლად;

4) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

5) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს ან შეეცდება გაქცევას;

6) მოქალაქეთა ბინაზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;

7) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;

8) განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;

9) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეა-



ლურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო მძლოლი არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

1) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

2) ტრანსპორტის გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;

3) დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

4) დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;

5) დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაზარალება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს. რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსს და პროკურორს.

პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.



აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

### თავი IV.

#### პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

#### მუხლი 14.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ეწევა ღია და ფარული სამუშაოებით და მეთოდებით.

აკრძალულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, რომლებიც:

1) საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

2) საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

3) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩასადენად.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც დროებით ზღუდავს პიროვნების პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის და სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოებას, გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

#### მუხლი 15.

#### პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული საგნები, დოკუმენტები და ინფორმაცია გამოიყენება:

1) დანაშაულის გასახსნელად და თავიდან ასაცილებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად;



2) სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად;

3) იმ ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად, რომლებიც საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას.

აკრძალულია სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებად ოპერატიულ-სამძებრო გზით მიღებული საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოყენება, თუ იგი მიღებული, შემოწმებული და შეფასებული არ იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას კონტროლს უწევენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა რეგულირდება ამ კანონით, კანონით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

## თავი V.

### პოლიციის ორგანიზაცია

### მუხლი 16.

#### პოლიციის სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია, რომლის შემადგენლობაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციები, თავის მოვალეობას ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

პოლიციის სამსახურები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში ფუნქციონირებენ სამმართველოების და განყოფილებების სახით. რეგიონებში და ადგილებზე პოლიციის სამსახურები სტრუქტურულად შედიან შინაგან საქმეთა რაიონულ, საქალაქო, რეგიონულ სამმართველოებსა და განყოფილებებში.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია ფუნქციონირებს ცენტრალიზებული წესით.

საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციის სტრუქტურული დანაყოფები შედიან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს

სისტემაში და შესაბამისად — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრების უშუალო დაქვემდებარებაში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრების წარდგინებით და რაიონის (ქალაქის) მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

პოლიციის ორგანიზაციასა და სტრუქტურას განსაზღვრავს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

## მუხლი 17.

**შინაგან საქმეთა ხვა ორგანოების მუშაკთა მონაწილეობა პოლიციის ამოცანების შესრულებაში.**

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულობასთან ბრძოლის, მაგისტრალური გზებისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ამოცანების შესრულებაში შეიძლება ჩაებნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო ქვედანაყოფები (ასეული, ბატალიონი, ბრიგადა), ხოლო საგანგებო და სამხედრო მდგომარეობის პირობებში — შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელები და ამ სასწავლებელთა ატესტირებული თანამშრომლები.

ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, სპეციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები ვრცელდება შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელებზე, ამ სასწავლებელთა ატესტირებულ თანამშრომლებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

## მუხლი 18.

### საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია პოლიციის საქმიანობაში

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო :  
განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;  
ახორციელებს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნ-  
ველყოფის ღონისძიებებს;

კოორდინაციას და სამსახურებრივ კონტროლს უწევს პოლიციის  
ორგანოებისა და ქვედანაყოფების საქმიანობას;

სამეცნიერო-საკონსულტაციო, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახ-  
მარებას უწევს პოლიციას;

ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების  
პოლიციის თანამშრომლებს გზავნის სამსახურის ტერიტორიის  
ფარგლებს გარეთ სტიქიური უბედურების, კატასტროფების, მასობ-  
რივი არეულობისა და საგანგაშო შემთხვევების დროს რესპუბლი-  
კური და სხვა რეგიონთაშორისი ღონისძიებების განხორციელებისას  
მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით;

სავანგებო, სამხედრო და სხვა ექსტრემალური მდგომარეობისას  
უზრუნველყოფს პოლიციის პირადი შემადგენლობის გადაყენას  
სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე;

აყალიბებს და განაგებს საცნობარო-საინფორმაციო ბანკს;

ამყარებს კავშირებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას  
სხვა სახელმწიფოთა საპოლიციო ორგანოებთან;

ხელმძღვანელობს პოლიციის კადრების მომზადებას;

აკონტროლებს პოლიციის თანამშრომელთა მიერ დადგენილი  
წესისა და დისციპლინის დაცვას;

შეიმუშავებს პოლიციაში სამსახურის ერთიან მოთხოვნებს,  
პირობებსა და წესს, საშტატო ერთეულების ტიპობრივ ნორმატი-  
ვებს;

ადგენს პოლიციაში საქმის წარმოების ორგანიზაციის წესსა და  
პირობებს;

წარმოადგენს პოლიციის ინტერესებს საქართველოს რესპუბლი-  
კის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს პოლიციის პირადი  
შემადგენლობისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების, წახალი-  
სებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

## თავი VI.

### სამსახური პოლიციაში, პოლიციის კადრები

#### მუხლი 19.

##### პოლიციის თანამშრომელი

პოლიციის თანამშრომელი არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.

პოლიციის თანამშრომლის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, პოლიციის თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს ატესტაცია, თანამდებობის შესაბამისად მას ენიჭება სპეციალური წოდება და სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა და სასამსახურო იარაღის ტარების უფლება.

პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ან ხელშეკრულებით მუშაობს პოლიციაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია. მისი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და მოვალეობები, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

#### მუხლი 20.

##### პოლიციის სამსახურში მიღების წესი

პოლიციის სამსახურში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არანაკლებ 18 და არაუმეტეს 35 წლისა, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, პიროვნული თვისებებით, განათლებით (არანაკლებ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო განათლებისა), ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი სავალდებულო სპეციალურ მომზადებას გადის დადგენილი წესის მიხედვით.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი თავისუფლდება სამხედ-

რომ სავალდებულო სამსახურისაგან, იხსნება სამხედრო აღრიცხვიდან და ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში.

პირი პოლიციის რიგოსან და უმცროს მეთაურთა თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ხელშეკრულების საფუძველზე.

პოლიციაში არ მიიღება:

1. ნასამართლვეი პირი;
2. ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, შიდსით, ფსიქიური და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
3. პირი, რომელიც სასამართლო წესით ქმედუნაროდ არის ცნობილი.

## მუხლი 21.

### პოლიციაში სამსახურის გავლის წესი

პოლიციაში სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია პოლიციის თანამშრომლის გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.

თანამშრომელს აკრძალული აქვს სამსახურთან ერთად კომერატიულ და სხვა ანაზღაურებად საქმიანობაში მონაწილეობა, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

## მუხლი 22.

### პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის წესი

პოლიციის თანამშრომელს სამსახურიდან დაითხოვენ:

- 1) განსაზღვრული ასაკის მიღწევისას ან წელთა ნამსახურობის გამო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;
- 2) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადებისას, რომლის გამოც აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
- 3) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
- 4) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის;
- 5) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;
- 6) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისთვის;
- 7) შტატების შემცირებისას;
- 8) სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის, პროკურატურის

ორგანოებში. სასამართლოში არჩევის ან დანიშვნისას;

9) საკუთარი სურვილით;

10) ფიცის გატეხის, პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის;

11) დანაშაულის ჩადენისათვის — კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, ქალაქის (რაიონის) შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოების) უფროსები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების უფროსები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

## მუხლი 23.

### პოლიციის კადრების მომზადება

პოლიციის კადრების მომზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში.

შინაგან საქმეთა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ჩვიდმეტიდან ოცდაათ წლამდე, რომელიც აკმაყოფილებს პოლიციის თანამშრომლისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ამ სასწავლებელში მიიღება დადგენილი წესით.

## თაპი VII.

პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი და სოციალური დაცვა.

პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა

## მუხლი 24.

### პოლიციის საქმიანობაში ჩაურევლობა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს. აშკარად უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას პოლიციის თანამშრომელი ხელმძღვანელობს კანონით.

აშკარად უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება პოლი-

ციის თანამშრომელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

აკრძალულია პოლიციის კანონიერ საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 25.

### პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა

პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისთვის.

პოლიციის თანამშრომლის და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობას, ქონებას, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.

პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფა, წინააღმდეგობის გაწევა, მისი სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა ქმედება, რომელიც ხელს უშლის პოლიციის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ისჯება კანონით.

## მუხლი 26.

### პოლიციის თანამშრომლის უფლება სასამართლო დაცვაზე

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ბრძანება პოლიციიდან მისი დათხოვნის შესახებ.

## მუხლი 27.

### პოლიციის თანამშრომლის ქმედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

პოლიციის თანამშრომლის უკანონო ქმედებით მოქალაქეებისთვის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის თანამშრომლის მართლზომიერი მოქმედებით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით.

## მუხლი 28.

### პოლიციის თანამშრომლის ფორმა

პოლიციის თანამშრომელი ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ფორმის ტანსაცმელს.

პოლიციის თანამშრომელს თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ეტეონი.

## მუხლი 29.

### წახალისება მუშაობაში წარმატებებისათვის

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისა და სხვა მიღწევებისთვის პოლიციის თანამშრომლის წასახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

- 1) მადლობის გამოცხადება;
- 2) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- 3) 5 დღე-ღამის დამატებითი შვებულების მიცემა;
- 4) მადლობის სიგელით დაჯილდოება;
- 5) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- 6) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
- 7) წინათ დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- 8) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისთვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

პოლიციის თანამშრომლის წახალისების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდება.

## მუხლი 30.

### პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა

პოლიციის თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულისთვის პასუხს აგებს საერთო წესით.

დანაშაულისთვის დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პოლიციის თანამშრომელი თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისგან იზოლირებულად.

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისთვის პოლიციის თა-



ნამშრომლის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები:

- 1) შენიშვნა;
- 2) საყვედური;
- 3) სასტიკი საყვედური;
- 4) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
- 5) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
- 6) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;
- 7) დისციპლინური პატიმრობა 3-დან 10 დღე-ღამემდე ჰაუპტ-ვახტში მოხდით;
- 8) შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნა.

დისციპლინური სახდელების შეფარდების და მოხსნის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდება.

## მუხლი 31.

### პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვა

სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის სოციალურ დაცვას:

1) პოლიციის თანამშრომლისთვის დადგენილია ორმოცდაერთსაათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე;

2) პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს;

3) პოლიციის თანამშრომლის წლიური შვებულების ხანგრძლივობა 30 კალენდარული დღეა, თუ მას აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის 10 წლამდე სტაჟი; 35 კალენდარული დღე — 10-დან 15 წლამდე; 40 კალენდარული დღე — 15-დან 20 წლამდე; 45 კალენდარული დღე — 20 წელზე მეტი მუშაობის სტაჟისთვის;

4) პოლიციის თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის ან მისი



ახლობლისთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სრულყოფილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

5) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს;

6) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით;

7) პოლიციის თანამშრომელს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საცხოვრებელი ბინა ან სახლი, ურიგოდ ედგმება ტელეფონი. ბინის კომუნალური მომსახურების ქირას, ტელეფონის გადასახადს იგი იხდის ორმოცდაათპროცენტიანი შეღავათით;

8) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელი სარგებლობს შეღავათებით მიწის რენტის გადასახადის, კოოპერაციული ან ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტის მიღების უფლებით;

9) პოლიციის თანამშრომელს სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საცხოვრებელი ბინის (სახლის) გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში ეძლევა სრული კომპენსაცია დროებითი საცხოვრებელი ბინის (სახლის) ქირის გადასახდელად;

10) პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის ყველა სახეობის სახელმწიფო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა);

11) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მოშლის გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პენსიის მიღების უფლება. მას და მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება;

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის ასეთივე უფლება უნარჩუნდებათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლის ოჯახის წევრებს;

12) პოლიციის თანამშრომელს პენსია ენიჭება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, წელთა ნამსახურობის ვადის

მიღწევის გამო პენსიაზე გასვლის დროს ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში, აგრეთვე დადგენილი ასაკის შესრულების ან ინვალიდობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ პოლიციის თანამშრომელს უნარჩუნდება ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები;

13) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის იყენებს პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას, სატრანსპორტო საშუალების შენახვის, საწვავ-საბოხი მასალის ხარჯებს უნაზღაურებს სახელმწიფო დადგენილი წესით;

14) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს მივლინების მოწმობის საფუძველზე ურიგოდ შეიძინოს სამგზავრო ბილეთი ყველა სახის ტრანსპორტზე და ურიგოდ შესახლდეს სასტუმროში; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტებით.

## თავი VIII.

**პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

### მუხლი 32.

**საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიცია ფინანსდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მოქალაქეებისგან შემოსული სახსრებიდან.

ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ოპერატიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაიონის (ქალაქის) შინაგან საქმეთა განყოფილებებში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროების გადაწყვეტილებით შეუძლიათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსონ პოლიციის თანამშრომელთა დამატებითი საშტატო ერთეულები.

რესპუბლიკის პოლიციას, მის ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს შენობა-ნაგებობებით და კავშირგაბმულობის საშუალებებით



უფასოდ უზრუნველყოფენ სახელმწიფო მმართველობის ადგილებზე რივი ორგანოები, ხოლო სატრანსპორტო პოლიციის ორგანოებს, ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს — შესაბამისი სატრანსპორტო უწყებები და ორგანოები.

ფორმის ტანსაცმლით, ტაბელის იარაღით, ტყვია-წამლით, სპეციალური საშუალებებითა და ტექნიკით რესპუბლიკის, რაიონისა და ქალაქის პოლიციას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## თავი IX.

**პოლიციის საქმიანობაში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის გარანტიები**

### მუხლი 33.

**პოლიციელის ქმედების გასაჩივრების უფლება**

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს პოლიციელის ქმედება პოლიციის ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში.

### მუხლი 34.

**განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პოლიციაში**

პოლიცია განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს კანონიერების დარღვევებზე.

პოლიციაში შემოსული განცხადება და საჩივარი განიხილება არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

დანაშაულის ან აღმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პოლიციაში შემოსული განცხადება ან საჩივარი დაუყოვნებლივ განიხილება.

ანონიმური განცხადება და საჩივარი არ განიხილება.

### მუხლი 35.

**პოლიციის საქმიანობის კონტროლი**

პოლიციის საქმიანობას აკონტროლებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

პოლიციის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოები არ ერე-

ვიან მის ოპერატიულ-სამძებრო და საპროცესო საქმიანობაში ან ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმის წარმოებაში.

## მუხლი 36.

**პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობა**

პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვას ზედამხედველობას უწევენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
ილუარდ შივაარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი პასტანო ზოზუაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

## 188 პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე გარდა მე-9 მუხლის მე-11 პუნქტისა და 32-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიამ პარლამენტის უახლოეს სხდომას განსახილველად წარმოუდგინოს ზემოაღნიშნული პუნქტისა და ნაწილის შეთანხმებული რედაქცია.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს შემდეგი

კანონპროექტები:

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის ფიცის ტექსტი;

კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ;

კანონი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურის უფლება-მოვალეობათა შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ნუსხა;

პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი დადგენილებები.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე პანტაზო რეჟულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 189 ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ

პარი I

### ზოგადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ფასებისა და ფასწარმოქმნის სფეროში მოიცავს ამ კანონსა და მის საფუძველზე მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებს ფასწარმოქმნის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში ფასების

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, საბაზრო ფასწარმოქმნის ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, მეურნე სუბიექტების, მოქალაქეთა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ძირითად უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ფასწარმოქმნის სფეროში.

## მუხლი 1.

### კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებების განმარტება

„თავისუფალი (საბაზრო) ფასი“ ეწოდება ფასს, რომელიც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების გავლენით თავისუფალი კონკურენციის, მოქმედი საგადასახადო სისტემისა და ფასწარმოქმნის არსებული წესების დაცვის პირობებში ყიდვა-გაყიდვის აქტის მონაწილე მხარეთა ინტერესების თავისუფალი შეხამების საფუძველზე.

„სახელმწიფო რეგულირებადი ფასი (ტარიფი)“\* ან მისი ცვლილებების კონკრეტული მექანიზმი განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ.

„სახელმწიფო ფიქსირებული ფასი“ ეწოდება მყარად დაწესებული სიდიდის სახელმწიფო რეგულირებად ფასს.

„ზღვრული ფასი“ სახელმწიფო რეგულირებადი ფასის ნაირსახეობაა და გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასის ზედა (მაქსიმუმი), ქვედა (მინიმუმი) ზღვარის ან ორივეს ერთად დაწესებას.

„მონოპოლიურად მაღალი (დაბალი) ფასი“ ეწოდება ნორმალურ საბაზრო დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალ (დაბალ) ფასს, რომელიც ყალიბდება სასაქონლო ბაზარზე გამყიდველების (მყიდველების) დომინირებული მდგომარეობის პირობებში.

„დემინგური ფასი“ ეწოდება შიდა ბაზრის ფასებთან (მათ შორის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებთან) შედარებით განზრახ შემცირებულ ფასს, რომელსაც გამყიდველი აწესებს საექსპორტო პროდუქტიაზე საგარეო ბაზარზე უპატიოსნო კონკურენციის მიზნით.

„საევაქრო (საევაქრო-საშუამავლო) ფასნამატი“ არის საევაქრო (საევაქრო-საშუამავლო) ორგანიზაციის მიერ საქონლის გასაყიდ და

\* მოსახურების სფეროში გამოყენებულ ფასს, როგორც წესი, ტარიფი ეწოდება



შესასყიდ ფასებს შორის სხვაობის თანხა, რომლითაც ორგანიზაციის ხარჯები და წარმოიქმნება მისი მოგება.

„საეაქრო ფასდათმობა“ არის საქონლის უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის მისაყიდი ფასის ნაწილი, რომლის ხარჯზეც იფარება საეაქრო ორგანიზაციის ხარჯები და წარმოიქმნება მისი მოგება.

„ფასების სახელმწიფო რეგულირება“ არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასების დონესა და ფასწარმოქმნის ფაქტორებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული მეთოდებით ზემოქმედება.

„ფასების გაყინვა“ ეწოდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებით ამა თუ იმ თარიღისათვის ჩამოყალიბებული ფასის ფიქსაციას (უცვლელად დატოვებას) გარკვეული ვადით.

## მუხლი 2.

### ფასწარმოქმნის სუბიექტები

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ფასების განსაზღვრაში (დაწესებაში) მონაწილეობენ შემდეგი სუბიექტები ან მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები:

მეურნე სუბიექტები — კერძო, სახელმწიფო და სხვა საწარმოები, მათი გაერთიანებები, აგრეთვე იურიდიული პირის უფლების მქონე დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას;

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, რომელთა კომპეტენციაში შედის ფასწარმოქმნისა და ფასების კონტროლის საკითხები, აგრეთვე ის ორგანოები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო ქონების რეალიზაციის უფლებამოსილება;

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხოელები.

## პარტი II

### საბაზრო ფასწარმოქმნის გარანტიები

## მუხლი 3.

### საბაზრო ფასწარმოქმნა

1. ნებისმიერი კომერციული გარიგების პროცესში, გარდა ამ



კანონით დადგენილი შემთხვევებისა, ფასი განისაზღვრება თავისუფლად, გარიგების მონაწილე მხარეთა ინტერესების შეხამებისა და ურთიერთსარგებლიანი შეთანხმების მიღწევის საფუძველზე.

2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები მონაწილეობენ ფასწარმოქმნის პროცესში მხოლოდ ამ კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

## მუხლი 4.

### მეურნე სუბიექტებისა და მოქალაქეთა უფლებები

1. ყოველ მეურნე სუბიექტს, მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს მყიდველს შესთავაზოს საკუთარი ინტერესების შესაბამისი ფასი, თუ მოცემული სახის საქონელზე (მომსახურებაზე) არ ვრცელდება ფასების (ტარიფების) სახელმწიფო რეგულირება; მყიდველს (მეურნე სუბიექტს, მოქალაქეს) უფლება აქვს მიიღოს ან უარყოს შეთავაზებული და შესთავაზოს თავისი ფასი. საბოლოო თავისუფალი (საბაზრო) ფასი განისაზღვრება გამყიდველისა და მყიდველის თანასწორუფლებიანი ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე.

2. მეურნე სუბიექტს უფლება აქვს ნაწილი ამ საქონლისა (მომსახურებისა), რომლის ფასებს სახელმწიფო აწესრიგებს, გაყიდოს საბაზრო ფასად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. მეურნე სუბიექტს უფლება აქვს სასამართლოში ან არბიტრაჟში გაასაჩივროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების არამართლზომიერი ქმედებანი ფასების რეგულირების სფეროში.

4. მეურნე სუბიექტებს, მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ ფასწარმოქმნისა და ფასების კონტროლის ორგანოებში, აგრეთვე სასამართლოში ან არბიტრაჟში გაასაჩივრონ მომწოდებლების მიერ ამ კანონის დარღვევით დაწესებული ხელშეკრულებების (გარიგებების) პირობები ფასების ნაწილში.

## მუხლი 5.

### მეურნე სუბიექტებისა და მოქალაქეთა მოვალეობანი

1. ფასების განსაზღვრის დროს დაუშვებელია მეურნე სუბიექტების მიერ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად



გამოყენება, აგრეთვე მეურნე სუბიექტების შეთანხმებები (შეთანხმებული ქმედებანი), რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას; დაუშვებელია უპატიოსნო კონკურენცია. გარიგებანი, რომლებიც მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი (დემპინგური) ფასების წარმოქმნას იწვევენ, შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან დაზარალებული მხარის მოთხოვნით.

2. მეურნე სუბიექტები ვალდებული არიან ფასის განსაზღვრისას ზუსტად დაიცვან საქონლის (მომსახურების) თვითღირებულების კალკულაციის დადგენილი წესები და ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნები, გაითვალისწინონ კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, შენატანები, მოსაკრებლები და სხვა აუცილებელი გადასახდლები, აგრეთვე უზრუნველყონ გასაყიდი საქონელი სასაქონლო ნიშნებით. იარლიყებით, ხარისხის სერთიფიკატების ან სხვა დოკუმენტაციით, რომლებშიც მითითებული იქნება ფასები და სრული იურიდიული მისამართი, ჰქონდეთ სარეალიზაციო საქონლის (მომსახურების) მიმდინარე ფასების რეესტრები (პრეისკურანტები).

### პარა III

#### ფასების სახელმწიფო რეგულირება

#### მუხლი 6.

##### ფასებისა და ფასწარმოქმნის ზოგადი ეკონომიკური პირობების სახელმწიფო რეგულირების მეთოდები

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ფასწარმოქმნის ეკონომიკური პირობების რეგულირებას ისეთი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა:

ფასების რეგულირება სახელმწიფოთაშორისო (სამთავრობათაშორისო) ხელშეკრულებების (შეთანხმებების) საფუძველზე;

ფასების ფორმირების ზოგადი პირობების რეგულირება ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელი შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით;

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა და ფასების პროგნოზირება;

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით ცალკეული სახეობის საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო რეგულირებადი ფასების და ტარიფების დაწესება.

სახელმწიფო სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში ეკონომიკის ცალკეული დარგებისთვის, ცალკეული რეგიონების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისათვის, აგრეთვე უშუალოდ მეურნე სუბიექტებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა დოტაციების, სუბვენციების, სუბსიდიებისა და სესხების სახით — ცალკეული სახეობის საქონლის (მომსახურების) ფასების გარანტირებული დონის შენარჩუნების მიზნით;

ბაზარზე მონოპოლიურად მაღალი (დაბალი) ფასების თავიდან აცილების მიზნით მონოპოლისტი საწარმოებისათვის პროგრესირებადი საგადასახადო განაკვეთების ან რენტაბელობის ზღვრული დონეების ან ფასების მარეგულირებელი სხვა მეთოდების გამოყენება; ფასების დონის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ფასების რეგულირების ფონდების შექმნა;

ცალკეული სახეობის საქონლის ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღება;

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მეურნე სუბიექტებთან ფასების დონეთა თაობაზე შეთანხმების დადება;

სახელმწიფო მეწარმეობის განვითარება ბაზრის კონიუნქტურასა და ფასების ფორმირებაზე ზემოქმედების მიზნით;

შიდა ბაზრის ფასების რეგულირების მიზნით ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირებისა და კვოტირების გამოყენება, საბაჟო ტარიფების, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ვალუტის მიმოქცევის რეჟიმის დაწესება, უცხოური ვალუტის მიმართ ფულის კურსის რეგულირება (განმტკიცება);

საცნობარო და საანგარიშსწორებო ფასების გამოყენება, ფასების სისტემატური სტატისტიკური აღრიცხვა, რეგისტრაცია და ანალიზი, შესაბამისი მასალების სისტემატური პუბლიკაცია და სხვა.

2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ სახელმწიფო ინტერესებიდან და შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, პრიორიტეტი მიანიჭონ რეგულირების ამა თუ იმ მეთოდს (მეთოდთა ჯგუფს).

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას არ აგებენ პასუხს მეურნე სუბიექტებისათვის მიყენებულ (ან მოსალოდნელ) ზარალზე.

4. მეურნე სუბიექტები ვალდებული არიან წარუდგინონ სრული

ინფორმაცია:

ფასწარმოქმნისა და ფასების კონტროლის სახელმწიფო ორგანოებს რეგულირებადი ფასების დასადგენად, ფასწარმოქმნის ეკონომიკური პირობების რეგულირებისათვის, ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დაცვის კონტროლისათვის;

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს — ფასებისა და ტარიფების სტატისტიკური აღრიცხვისა და რეგისტრაციისათვის.

## მუხლი 7.

### სახელმწიფო რეგულირებადი ფასების დადგენა

სახელმწიფო რეგულირებადი ფასები (ტარიფები) დგინდება (მათი რეგულირება ხორციელდება) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული საქონლის (მომსახურების) ნუსხაზე, მათი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის, აგრეთვე ბაზრის მონოპოლიზაციის დონისა და დაბალანსების გათვალისწინებით.

## მუხლი 8.

### საქონლის (მომსახურების) ფასები და ხარისხი

1. სახელმწიფო რეგულირებადი ფასები უნდა შეესაბამებოდეს საქონლის (მომსახურების) ხარისხს, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო სტანდარტების ან სხვა ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებით.

2. თავისუფალი (საბაზრო) ფასებით სარეალიზაციო საქონლის (მომსახურების) გამყიდველი ვალდებულია მყიდველს დადგენილი წესით მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია საქონლის (მომსახურების) ფასებისა და ხარისხის შესახებ.

## მუხლი 9.

### ფასწარმოქმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში

ფასწარმოქმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპების საფუძველზე.

საექსპორტო და საიმპორტო ფასების ფორმირებისას, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი ენიჭება ექსპორტის სტიმულირებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და რესპუბლიკის შიდა ბაზრის სტაბილიზაციას.

## პარტი IV

ხელისუფლებისა და მმართველობის სახელმწიფო ორგანოების,  
მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების (ორგანიზაციების)  
უფლებამოსილებანი ფასწარმოქმნის სფეროში

### მუხლი 10.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე:

შეიმუშავებს და ახორციელებს ფასებისა და ფასწარმოქმნის სფეროში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკას;

უზრუნველყოფს ფასებისა და ფასწარმოქმნის ზოგადი ეკონომიკური პირობების რეგულირებას;

დებს სახელმწიფოთაშორისო (სამთავრობათაშორისო) ხელშეკრულებებს ფასების შეთანხმებული პოლიტიკის გატარების თაობაზე;

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტთან შეთანხმებით ახდენს ფასების გაყინვას განსაზღვრული ვადით;

განსაზღვრავს იმ საქონლის (მომსახურების) ნომენკლატურას, რომელზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება, და სამოქმედოდ შემოაქვს სახელმწიფო რეგულირებადი ფასები (რეგულირების მექანიზმი);

აწესებს ცალკეული მეურნე სუბიექტის მიერ ფასების მოსალოდნელი ზრდის მომხმარებლისათვის წინასწარი შეტყობინების რეჟიმს;

აწესებს ზღვრულ და ფიქსირებულ ფასებს, მათ შორის იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ბოროტად იყენებენ ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას. განსაზღვრავს ცალკეული მეურნე სუბიექტებისათვის ფასების დეკლარირების წესს;

განსაზღვრავს სავაჭრო ფასდათმობებს (გამონაკლის შემთხვევაში — ფასნამატებს);

ფასების დონის სტაბილიზაციისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს საბიუჯეტო სახსრებს, სახელმწიფო რესურსების ხარჯზე ახორციელებს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს;

განსაზღვრავს საქონლის (მომსახურების) თვითღირებულების კალკულირების წესს;

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან (ორგანიზაციებთან), აგრეთვე მეურნე სუბიექტებთან დებს შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს) ფასების რეგულირების საკითხებზე;

ახორციელებს ფასების სისტემატურ აღრიცხვას და რეგისტრაციას, მათი დინამიკის ანალიზს, ამუშავებს ფასების პროგნოზს, საჭიროების შემთხვევაში ახდენს ფასების დონესა და დინამიკაზე პერიოდულ დაკვირვებებს;

განსაზღვრავს ფასების სახელმწიფო რეგულირების, ანალიზისა და პროგნოზირებისათვის საჭირო მასალის (ინფორმაციის) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენის წესს;

განსაზღვრავს ფასწარმოქმნისა და ფასების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ცენტრალური რესპუბლიკური და სხვა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას; საჭიროების შემთხვევაში ახდენს ამ კომპეტენციის დელეგირებას;

ამ კანონის საფუძველზე განსაზღვრავს ფასების სახელმწიფო კონტროლის წესს.

2. საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის, ფასების და ფასწარმოქმნის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ცენტრალური ორგანოა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

## მუხლი 11.

### ფასების (ტარიფების) რეგისტრაცია

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფასებისა და ტარიფების სისტემატურ სტატისტიკურ აღრიცხვასა და რეგისტრაციას, მათი დინამიკის ანალიზს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, მის შემადგენლობაში შემავალი ფასებისა და ტარიფების რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახური.

2. ფასებისა და ტარიფების რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახურს ენიჭება განსაკუთრებული უფლება დადგენილი წესით მიიღოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულ და ფიზიკურ პირ-რეზიდენტებისაგან, განურჩევლად მათი დაქვემდებარებისა, საკუთრების ფორმისა და საქმიანობის სახეობისა.

3. ინფორმაციას ფასებისა და ტარიფების დონეების, აგრეთვე

მათი ცვლილებების შესახებ ოფიციალურად აქვეყნებს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი.

## მუხლი 12.

**ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უფლებები და მოვალეობანი**

1. ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკას ფასწარმოქმნის სფეროში;

აწესებენ სახელმწიფო რეგულირებად ფასებსა და ტარიფებს ცალკეულ სახეობათა საქონელსა და მომსახურებაზე;

აანალიზებენ ფასების დონესა და დინამიკას, სახელმწიფო კონტროლს უწყვენ ფასებს და ახორციელებენ ამ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებს.

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დააწესონ ცალკეული სახის საქონელსა და მომსახურებაზე შეღავათიანი ფასები და ტარიფები შესაბამისი ბიუჯეტების ან არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

## მუხლი 13.

**საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების უფლებები და მოვალეობანი**

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები:

ახორციელებენ ფასების სახელმწიფო პოლიტიკას შესაბამის დარგებში;

სისტემატურად აანალიზებენ ფასების დონესა და დინამიკას და შესაბამის მასალებს, ასევე ფასწარმოქმნის, მათ შორის ფასების რეგულირების მეთოდების სრულყოფის წინადადებებსა და რეკომენდაციებს პერიოდულად წარუდგენენ ფასწარმოქმნის ცენტრალურ ორგანოს;

ახორციელებენ შესაბამის დარგებში ფასწარმოქმნის ერთიან მეთოდურ ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფენ საწარმოებს, გაერთი-

ანებებსა და ორგანიზაციებს საჭირო ინფორმაციით ბაზრის კონიუნქტურისა და საშინაო და საგარეო ბაზრებზე ფასების შესახებ; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ ამ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაში.

## მუხლი 14.

**მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების (ორგანიზაციების) უფლებები**

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები (ორგანიზაციები) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ ფასწარმოქმნის პროცესში.

## პარი V

**ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის**

## მუხლი 15.

**ფასების კონტროლის სახელმწიფო ორგანოები**

1. საქართველოს რესპუბლიკაში ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობის დაცვის კონტროლს (ფასების კონტროლს) ამ კანონის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექცია.

2. ფასების სახელმწიფო ინსპექციის, მისი ცენტრალური აპარატის, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მისი ორგანოების საშტატო განრიგი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ.

3. ფასების სახელმწიფო ინსპექციის შენახვის ხარჯების დაფინანსება ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

## მუხლი 16.

**ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფლებამოსილებანი**

1. ფასების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს უფლება აქვთ: განახორციელონ ანტიმონოპოლიური ღონისძიებები ფასწარმოქმნის სფეროში;

მოითხოვონ და მიიღონ მეურნე სუბიექტებისაგან ფასების





კონტროლისათვის საჭირო მასალები და მონაცემები (ინფორმაცია);

მისცენ თანამდებობის პირებს შესასრულებლად აუცილებელი წინადადებები ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე და დააწესონ დარღვევების ლიკვიდაციის ვადები;

ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის, აგრეთვე მის საფუძველზე მიღებული ფასების სახელმწიფო რეგულირების ნორმატიული აქტების დამრღვევი მეურნე სუბიექტების (მოქალაქეების) მიმართ გამოიყენონ ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ეკონომიკური სანქციები;

გააუქმონ მეურნე სუბიექტების მიერ უკანონოდ დაწესებული ფასები და მიღებული გადაწყვეტილებები;

გამოიყენონ ამ კანონის შესაბამისად ადმინისტრაციული ჯარიმები თანამდებობის პირების (მოქალაქეების) მიმართ, მათ მიერ ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობისა და ფასების რეგულირების ნორმატიული აქტების დარღვევის, ასევე ფასების დადგენისა და გამოყენების დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო მონაცემების წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

2. ფასების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები ამ კანონის შესაბამისად ვალდებული არიან ფასების კონტროლის და ფასწარმოქმნის სფეროში ანტიმონოპოლიური ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად ფასწარმოქმნის ორგანოებთან კავშირში განახორციელონ ბაზრის კონიუნქტურის, ფასების დონისა და დინამიკის სისტემატური შესწავლა და ანალიზი, შეიმუშაონ ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფის წინადადებები.

## მუხლი 17.

### პასუხისმგებლობა ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. მეურნე სუბიექტების მიერ ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ კანონის, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ დეკრეტის საფუძველზე გამოცემული ფასწარმოქმნის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დარღვევის შედეგად მიღებული მთელი უკანონო შემოსავალი, ასევე, იმავე ოდენობის საჯარიმო თანხა ფასების სახელმწიფო ინსპექციის წარდგინების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება



საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

მეურნე სუბიექტების მიერ მონოპოლიურად მაღალი ფასების გამოყენებით მიღებული მთელი დამატებითი შემოსავალი და მისივე ოდენობის საჯარიმო თანხა ან მონოპოლიურად დაბალი (დემპინგური) ფასების დაწესების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი (გადაუხდელი სახელმწიფო გადასახადების თანხა) და იმავე ოდენობის საჯარიმო თანხა ფასების სახელმწიფო ინსპექციის წარდგინების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამასთან, დროის პერიოდი, რომლის მიხედვითაც იანგარიშება გადსარიცხი თანხის ოდენობა (ეკონომიკური სანქციები) განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

2. უკანონო შემოსავლის და ჯარიმის თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვა ხორცილდება მეურნე სუბიექტების ანგარიშსწორების ანგარიშიდან, შესაბამისი თანხის უდავო ჩამოწერის წესით.

3. ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში მეურნე სუბიექტები, მართვის ორგანოები და თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან აღმოფხვრან დარღვევები გარკვეულ ვადაში მაკონტროლებელი ორგანოს მითითების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში უკანონო გზით მიღებული შემოსავალი და ჯარიმა ორმაგი ოდენობით ამოიღება.

4. გამყიდველების (მიმწოდებლების) მიერ ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად საქონლის (მომსახურების) მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალის (ან დაკარგული სარგებლის) ანაზღაურება ხდება დაზარალებული მხარის განცხადების საფუძველზე და ხორციელდება სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

5. ფასებისა და ფასწარმოქმნის კანონმდებლობის, ასევე ფასების რეგულირების ნორმატიული აქტების დარღვევებში მხილებულ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელებს, სხვა თანამდებობის პირებს (მოქალაქეებს) დაედებათ ადმინისტრაციული ჯარიმები მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით, თუ მათი ქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ადმინისტრაციული ჯარიმის თანხები დადგენილი წესით საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება.

6. ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ მოქმედი კანონმდებ-



ლობის გამოვლენილი დარღვევებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული მთელი თანხის 15 პროცენტი გამოიყენება ფასების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკთა, ასევე მოწვეულ სპეციალისტთა მატერიალური წახალისებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
ილშარდ შეკარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**190 ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რეჟულაშვილი**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

**განყოფილება მეორე**

**შეთანხმება**

**აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მიხი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ**

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები რუსეთის შუამავლობით შეთანხმდნენ შემდეგზე:

- 1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები 1993 წლის 28 ივლისის

12.00 საათიდან უბრუნდებიან ამა წლის 20 მაისს კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებლობის მკაცრად დაცვის რეჟიმს.

იკრძალება ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება.

კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) არ შევლენ დამატებითი ჯარები და სხვა შეიარაღებული ფორმირებანი, არ განხორციელდება მობილიზაცია, ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელი გადაადგილებანი, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგება.

2. 1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები (3-9 კაცის ოდენობით), რომელთა პერსონალურ შემადგენლობას შეათანხმებენ მხარეები.

დროებითი საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას. ისინი განლაგდებიან სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ტყვარჩელში, ვაგრაში, გალში. თუ საჭირო იქნება, ასეთი ჯგუფები, მხარეთა შეთანხმებით, განლაგდებიან სხვა პუნქტებშიც. საკონტროლო ჯგუფებს უფლება აქვთ შევიდნენ მათთვის საინტერესო კონფლიქტის ნებისმიერ წერტილში მას შემდეგ, რაც შესაბამისად ამას აცნობებენ მხარეებს. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ საკონტროლო ჯგუფების უსაფრთხოებას, უქმნიან ცხოვრების სათანადო პირობებს, აძლევენ მიმოსვლის საშუალებებს.

საკონტროლო ჯგუფებს შეუძლიათ განიხილონ მოსახლეობის მიმართეები სხვადასხვა საკითხებზე.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჩამოსვლის შემდეგ დროებითი საკონტროლო პუნქტები მათთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ.

3. კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია კისრულობს განახორციელოს საკონტროლო ჯგუფების მიერ დაფიქსირებული მისი ფორმირების მიერ დაშვებული ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ნებისმიერი დარღვევის დაუყოვნებელი, ეფექტიანი ღონისძიებანი, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს საკონტროლო ჯგუფების რეკომენდაციებსა და წინადადებებზე.

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევები უნდა ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ევროპის უშიშროებისა და

თანამშრომლობის თათბირს.

4. 1993 წლის 5 აგვისტომდე იქმნება აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია. მის დებულებას ამტკიცებენ მხარეები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები და მეთვალყურენი მათი შეთანხმებით.

5. მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ კონფლიქტის ზონაში მიიწვიონ და გამოიყენონ საერთაშორისო მეთვალყურენი და სამშვიდობო ძალები. ამასთან მხედველობაშია, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ, თუ მხარეთა თანხმობა იქნება.

6. იწყება კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია. კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურენი და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან გავლენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები.

ამავე ვადებში უნდა დაიშალოს და აფხაზეთიდან გამოვიდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებები, ჯგუფები და პირები.

მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იქმნება საქართველოს მხარის შინაგანი ჯარების ნაწილი, რომელიც ყაზარმაში დაბინავდება. შემდეგ ეს ქვეგანაყოფი შინაგანი ჯარების აღნიშნულ პოლკთან ერთად შევა აფხაზეთის მრავალეროვანი შინაგანი ჯარების შემადგენლობაში.

აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები შევლენ შინაგანი ჯარების პოლკში, რომელიც გადადის ყაზარმულ მდგომარეობაზე და შეასრულებს ვითარების სრული მასშტაბით მოწესრიგებამდე შინაგანი ჯარებისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს (მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა).

ყველა აღნიშნული მოქმედება ხორციელდება გაერთიანებული კომისიის მეთვალყურეობით.

მდინარეებზე გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე დგებიან საერთაშორისო მეთვალყურენი.

ცეცხლის შეწყვეტისთანავე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცა-



ვად კონფლიქტის ზონაში იქმნება მრავალეროვნო მილიციის შემადგენლობას და რიცხვს განსაზღვრავენ მხარეები.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამშვიდობო ძალები. აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კონსულტაციით, კონფლიქტის ზონაში ღროებით განლაგებული რუსეთის საჯარისო კონტინგენტი.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მრავალეროვნო მოსახლეობის უფლებათა დაცვას.

განხორციელდება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, მათთვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი. ლტოლვილთა პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტისათვის გაერთიანებული კომისია ქმნის სპეციალურ ჯგუფს.

7. აფხაზეთის ტერიტორიაზე ღროებით მყოფი რუსეთის ჯარები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს.

რუსეთის ფედერაციის საჯარისო ფორმირებებისა და სასაზღვრო ჯარების ღროებითი ყოფნის სტატუსს, ფუნქციონირების პირობებს, გაყვანის ვადებსა და წესს განსაზღვრავენ ცალკეული სახელშეკრულებო დოკუმენტები.

მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა უსაფრთხოებას.

8. მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, მხარეები შექმნიან აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური საქმიანობის განახლების პირობებს.

9. კონფლიქტის მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყოვნებლივ განაგრძობენ მოლაპარაკებას აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად.

შეთანხმებაში აისახება მშვიდობის დაცვის, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების, ეკონომიკური ცხოვრების მოგვარების, მართლწესრიგის დაცვის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა

უფლებების დაცვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფოებრივი წყობის უზრუნველყოფის გარანტიათა პრინციპული საკითხები.

10. ამ შეთანხმების მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ, არ გამოიყენონ მისი დებულებები, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მოქმედებისათვის, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თითოეული მათგანის ინტერესებს.

**საქართველოს სახელით ვ. ბოვშაკი**

**აფხაზეთის სახელით ს. ჯინჯოლია**

**რუსეთის ფედერაციის სახელით ა. კოზირევი**

\* \* \*

1993 წლის 29 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განსაზღვრის ელემენტები და ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

## **191 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განცხადების გამო**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განცხადება გადადგომის შესახებ.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნამდე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე მასტანბ რეჟულიშვილი**

თბილისი, 1993 წლის 6 აგვისტო